# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 10 ოქტომბერი, 2012 წელი.

№194 (7070)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ჟამთა ცვლა

# გუშინდელთა და ხვალინდელთა შეხვედრა



**გუშინ** პრეზიდენტის სასახლეში ერთმანეთს შეხვდნენ ხელისუფლებიდან მიმავალი ნაციონალების ლიდერი, ჯერჯერობით ქვეყნის პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** და ხელისუფლებაში მომავალი „ქართული ოცნების ლიდერი“, ქვეყნის პრემიერმინისტრობის კანდიდატი **ბიძინა ივანიშვილი**.

შეხვედრა გაფართოებული შემადგენლობით გაიმართა და მას სამუშაო ჯგუფების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. „ქართული ოცნების“ მხრიდან სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ – ირაკლი ალასანია, ირაკლი ღარიბაშვილი, სოზარ სუბარი და დავით უსუფაშვილი; ხოლო მოქმედი ხელისუფლების მხრიდან – გიგა ბოკერია, გიგი უგულავა, პავლე კუბლაშვილი და დავით ბაქრაძე.

შეხვედრა მხოლოდ ფოტორეპორტიორებმა გადაიღეს და განცხადებები შეხვედრის შესახებ მხოლოდ კამერებისთვის გაკეთდა.

ქვემოთ გთავაზობთ საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატისა და საქართველოს პრეზიდენტის განცხადებებს.

## ჩვენ ვიწყებთ ახალ ცხოვრებას...

### კოალიცია „ქართული ოცნების“ პრემიერმინისტრობის კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი

ჩვენი დღევანდელი შეხვედრა გახლდათ გაგრძელება იმ ჯანსაღი პოლიტიკისა, რომელიც მე და ჩემმა გუნდმა შემოვიტანეთ საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში.

ის, რომ მე და ჩემმა გუნდმა მოვახერხეთ და შევქმენით პრეცედენტი საქართველოში პირველად დემოკრატიული გზით ხელისუფლების შეცვლისა, ეს საქართველოს ისტორიაში აუცილებლად ღირსეულად მოიხსენიება.

ის, რომ ჩვენ მოვახერხეთ მთელი წლის განმავლობაში ყველა უღირს ქცევას ჩვენი ოპონენტების მხრიდან ღირსეულად ვუპასუხებდით, სწორედ ეს გახლავთ დღევანდელი შეხვედრის მიზეზი და გაგრძელება მისი.

ჩვენ ჩვენს ოპონენტებს, ვაცხადებდით და ვაცხადებთ დღესაც - მოვექცევით არა ისე, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც იმსახურებს ჩვენი ქვეყანა, ქართველი ხალხი, საქართველოს მოსახლეობა, ჩვენი კულტურა.

აი, ეს გახლდათ დღევანდელი ჩვენი შეხვედრის მიზეზიც.

ჩვენ საუბარი გვქონდა საგარეო პოლიტიკაზე, გვქონდა შეხედულებებზე და ა.შ. იქ თანხვედრაში მოდის ის საგარეო პოლიტიკა, რომელიც ჩვენ ორივე მხარეს გაცხადებული გვქონდა, რომ ევროპა და ევროატლანტიკური სივრცე, აუცილებლად ჩვენი სტრატეგიაა, გაგრძელება იქნება ძველი ხელისუფლების, ჩვენი სწრაფვა იქნება განუხრელად ევროპისაკენ და საქართველო აუცილებლად მოახერხებს უახლოეს დროში, რომ გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა.

აი, დაახლოებით, ასეთი ტიპის საუბარი გვქონდა.

კარგია, რომ ჩვენ მოვახერხეთ შეხვედრა.

თვითონ სააკაშვილმა მოახერხა ის განცხადება, რაც მე შევუქე, გააკეთა არჩევნების პროცესში და არჩევნების ბოლოს.

ჩვენი დღევანდელი შეხვედრაც ემსახურება იმის ჩვენებას, რომ ვართ კულტურული ერი.

ჩვენ ვიწყებთ ახალ ცხოვრებას და ჩვენ ჩვენს ოპონენტებს ყოველთვის ღირსეულად მოვექცევით.

დიდი მადლობა!

## რაც მოხდა, ქართველი ხალხი თავისებურად შეაფასებს...

### საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

უნდა გითხრათ, რომ დღეს არის ისტორიული პროცესი.

პირველად ამ რეგიონში, პოსტსაბჭოთა სივრცის ამ ნაწილში ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების უმეტესი ფუნქციების მშვიდობიანად, დემოკრატიულ ფარგლებში გადაცემა.

ქართველმა ხალხმა გააკეთა არჩევანი.

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ვიტყვით მომავალში – ჩვენ პატივს ვცემთ ქართველი ერის არჩევანს.

ქართველი ხალხი არის ქვეყნის ის უზენაესი მოქმედი პირი, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკურ პროცესებს.

ჩვენ ვისაუბრეთ და, რა თქმა უნდა, არავისთვის არ არის მოულოდნელი, რომ ჩვენ შორის რჩება ფუნდამენტური განსხვავება ძალიან ბევრ პოლიტიკურ და ძალიან ბევრ ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით.

მაგრამ ჩვენ, როგორც პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება, მე, როგორც პრეზიდენტი, როგორც კონსტიტუციის გარანტი, უზრუნველვყოფ, რომ მთავრობის ფუნქციების გადასვლა მოხდეს ყოველგვარი ექსცესების გარეშე.

იხ. 2 გვ.

ჟამთა ცვლა

# გუშინდელნი და ხვალინდელნი



## რაც მოხდა, ქართველი ხალხი თავისებურად შეაფასებს...

(პირველი გვერდიდან) მოხდეს ისე, როგორც არასდროს არ მომხდარა საქართველოს ისტორიაში - ქართველი ხალხის ინტერესების სრული გათვალისწინებით, პოლიტიკური პროცესების დემოკრატიის ფარგლებში შენარჩუნებით.

ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ დემოკრატია, მივაღწიოთ იმას, რომ თავისუფალი არჩევნები საქართველოში მომავალშიც გაგრძელდეს, დემოკრატია კიდევ უფრო გაძლიერდეს და ქვეყანას მიეცეს მისი განვითრების საშუალება და ქართველ ხალხს შეექმნას უკეთესი პერსპექტივები.

მე, როგორც პრეზიდენტი და ჩვენ ყველანი, ვიზრუნებთ, რომ ქართველი ხალხის ინტერესები სრულად იყოს დაცული.

ეს იყო ის, რაც ყოველთვის მამოძრავებდა, ეს იქნება ჩემი მამოძრავებელი ძალა მომავალ თვეებში, მომავალ წლებში, ჩემი და თითოეული ჩემი თანამებრძოლის საქმიანობაში.

ამიტომ, ვფიქრობ, იმას, რაც მოხდა, ქართველი ხალხი თავისებურად შეაფასებს. იმას, რომ ყველაფერი დაინახო და გააანალიზო, სჭირდება დრო, მაგრამ ახლა ყველა უნდა ვიყოთ კონცეტრირებული მომავალზე.

ყველანი უნდა ვიყოთ კონცეტრირებული ჩვენი ხალხის კეთილდღეობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად, უმეტეს საკითხებზე ფუნდამეტური განსხვავება და აზრთა სხვადასხვაობა გვაქვს, ჩვენ მოვახერხეთ და ვახერხებთ ამ პროცესის სამართლებრივად, კონსტიტუციურად, სწორ ჩარჩოებში წარმართვას.

ვფიქრობ, ეს არის მთავარი, რასაც დღეს ყველამ ხაზი უნდა გავუსვათ.

მინდა ჩვენს ხალხს ვუსურვო წარმატება.

დარწმუნებული ვარ საქართველოს ექნება მომავალი და ჩვენც ვაპირებთ, ვიყოთ ამ მომავლის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები და როგორც პოლიტიკოსები.

სახელმწიფო მოწყობა

### პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნა არარეალურია

**პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატის დავით უსუფაშვილის განცხადებით, პრეზიდენტის მიერ ახლად არჩეული პარლამენტის დათხოვნა არარეალურია. „მოვიდა ვერსია ჩემამდე, რომ დათხოვნისთვის ხომ არ ემზადებიანო. თუ 6 თვის თავზე „ქართულმა ოცნებამ“ იმდენი რამ გააფუჭა და პრეზიდენტის მზაკვრული გეგმის განხორციელების, ანუ პარლამენტის დათხოვნის შემდეგ ხალხმა ჩვენ აღარ აგვირჩია, მაშინ ჩვენ ღირსი ვყოფილვართ, დავეთხოვეთ და ის ყოფილა სწორი.** მაგრამ ასეთ ვითარებაში პრეზიდენტი რომ მხოლოდ იმას დაელოდოს – გამიჩნდა საშუალება, რომ გავუშვა ეს პარლამენტიო, მერე? მერე არჩევნები არ უნდა ჩაატაროს? და თუ ახლა მოვიგეთ ეს არჩევნები, ყველაფერს რომ აკონტროლებდა ხელისუფლება და ხალხმა და კოალიციამ შეუძლებელი შეძლო, იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლებაში ვართ, მთავრობა ჩვენია, ვაკონტროლებთ ყველაფერს, პრეზიდენტმა რომ დაგვითხოვოს და სხვამ გაიმარჯვოს – ეს ნაკლებად რეალისტურია.

### გადადგება თუ არა სააკაშვილი?

**პრობაციისა და სასჯელაღსრულების მინისტრობის კანდიდატი სოზარ სუბარი უკომენტაროდ ტოვებს კითხვას, იყო თუ არა ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის შეხვედრაზე საუბარი პრეზიდენტის გადადგომაზე.**

„კომენტარის გარეშე“, – ასე უპასუხა სუბარმა აღნიშნულ საკითხზე ჟურნალისტების კითხვას.

რაც შეეხება იმას, ზოგადად მიმდინარეობს თუ არა პრეზიდენტის შეცვლაზე საუბარი, მინისტრობის კანდიდატმა უპასუხა: „ყველაფერს თავისი დრო აქვს“.

მისივე თქმით, შეხვედრა უკავშირდებოდა ხელისუფლების გადაბარების რაც შეიძლება სწრაფ და უმტკივნეულო პროცესს.

სოზარ სუბარის განცხადებით, მთავრობის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით არ მიმდინარეობს მოქმედ ხელისუფლებასთან კონსულტაციები, რადგან მთავრობის დაკომპლექტება პრემიერის პრეროგატივაა.

მისივე ინფორმაციით, შეხვედრაზე ერთმანეთს ცალ-ცალკე შეხვდნენ სამუშაო ჯგუფები, პრეზიდენტი და პრემიეროვის კანდიდატი კი ცალ-ცალკე.

### კონსულტაციები საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთანაც მიმდინარეობს

**ეკონომიკური გუნდის მინისტრობაზე კონსულტაციები საზღვარგარეთ მცხოვრებ წარმატებულ ქართველებთანაც მიმდინარეობს. – ამის შესახებ ჟურნალისტებს ბიძინა ივანიშვილის ახალი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა მაია ფანჯიკიძემ განუცხადა.**

მისი თქმით, კონსულტაციები მიმდინარეობს და თითო თანამდებობაზე ერთი-ორი კანდიდატურა არსებობს.

– ზოგიერთი მათგანი არის საზღვარგარეთ მყოფი წარმატებული ქართველი, ამიტომ მათთან კონსულტაციები, რა თქმა უნდა, დიდ დროს მოითხოვს, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისი თქმით, ეკონომიკური გუნდის მინისტრების ვინაობა უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

### ქუთაისის პარლამენტში მუშაობა წარმოუდგენელი და სახიფათოა

**ქუთაისის პარლამენტის შენობის მდგომარეობის შესწავლის მიზნით, „ქართული ოცნების“ ექსპერტთა ჯგუფი ქუთაისში გაემგზავრა.**

**როგორც „ქართული ოცნების“ ოფისში ჟურნალისტებს ახალი მოწვევის პარლამენტის ეკონომიკური განვითარების კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატმა ნოდარ ხადურმა განუცხადა, ქუთაისის პარლამენტში მუშაობა წარმოუდგენელი და სახიფათოა.**

მისი განცხადებით, შენობაში ჩამოდის წყალი, შეტანილია უხარისხო ავეჯი და ტექნიკა. ასევე, შენობაში არც ერთი ფანჯარა არ იღება.

– უნდა დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ეს შენობა ააშენა. კონსტიტუციის შესაბამისად პარლამენტი ქუთაისში უნდა შეიკრიბოს. ჩვენ არ ვაპირებთ კონსტიტუციის დარღვევას. ადგილზე გაგზავნილია ექსპერტთა ჯგუფი, რომლებიც შეისწავლიან შენობის მდგომარეობას, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ინტერპრესნიუსი

# ნაციონალებმა ანგარიშსწორება დაიწყეს!

**მართალია, მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა განაცხადეს, რომ „ქართულ ოცნებას“ მთავრობის დაკომპლექტებაში პრობლემებს არ შეუქმნიან, მაგრამ საზოგადოებაში არსებობს გარკვეული ეჭვები იმაზე, თუ რას უკავშირდება „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ხელისუფლების ასეთი უმტკივნეულო დათმობა. ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ სააკაშვილის გუნდი სერიოზული რევანშისთვის ემზადება და ამისთვის ოთხი წელი, ანუ შემდეგ საპარლამენტო არჩევნებამდე მოცდას არ აპირებს.**



**კონკრეტულად რა რისკები არსებობს იმისა, რომ „ნაციონალურმა მოძრობამ“ პოლიტიკური კრიზისი შექმნას, ან საერთოდ რა შეიძლება მან მოიმოქმედოს იმისთვის, რომ საზოგადოების თვალში „ქართული ოცნების“ დისკრედიტაცია მოახდინოს, ამასთან დაკავშირებით for.ge-ს პოლიტიკური ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე ესაუბრება.**

— „ამჟამად შეგვიძლია ვისაუბროთ იმ რისკებზე, რომლებიც ახალ ხელისუფლებას გარდამავალ პერიოდში დახვდება. გარკვეული რისკები უკვე იკვეთება და შეგვიძლია, ვისაუბროთ იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს „ნაციონალების“ შემდგომი ნაბიჯები. ამაზე ყურადღება აუცილებლად არის გასამახვილებელი, რადგან „ქართული ოცნება“ დღეს მთავრობის ფორმირებით არის დაკავებული, რაც სრულიად ბუნებრივია. ეს არ არის ისეთი ერთიანი და ავტორიტარულ მართვას დაქვემდებარებული ორგანიზმი, როგორიც იყო „ნაციონალური მოძრაობა“ და საკმაოდ რთულ ვითარებაში უწევთ ხელისუფლების გადაბარება. ამიტომ მიმაჩნია, რომ აუცილებელია იმ რისკებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც შეიძლება მათ დახვდეს.

**დავიწყოთ ყველაზე ცნობილი და თვალშისაცემით, ანუ მედიის თემით. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ კეზერაშვილის სახით ხელისუფლება შეეცადა საკუთარი პოზიციები ორ ტელეარხზე „რუსთავი2“-სა და „მზე“-ზე გაემყარებინა.** ამ ფონზე ძალიან საინტერესოა ტელეკომპანია „იმედის“ განცხადება, რომ გასართობი შოუები იხურება და სატელევიზიო ბადე მთლიანად საინფორმაციო გადაცემებსა და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ თოქ-შოუებზე აიგება. ჩემთვის ეს ძალიან სიმპტომატურია და იმაზე მიანიშნებს, რომ მათ ხელთ არსებული ტელევიზიები პრაქტიკულად, ასე ვთქვათ, სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი. ეს არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი თემა.

**მეორე, რამაც ძალიან ყური მომჭრა, ეს არის ზურაბ ჭიაბერაშვილის კახეთის გუბერნატორად დანიშვნა. დავიწყოთ იმით, რომ ზოგადად, ძალიან უცნაურია, როდესაც პრეზიდენტი ოპოზიციაში გადადის, მაგრამ კვლავ პოსტზე რჩება. ხოლო ახლა პრეზიდენტი ნიშნავს გუბერნატორს, იმ ფონზე, როდესაც ისინი დეკლარირების დონეზე ამბობენ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების დაკომპლექტებას მთლიანად „ქართულ ოცნებას“ ანდობენ.** ამიტომ, ეს ყველაფერი ცოტა არ იყოს გასაკვირია. რეალურად ეს იმას ნიშნავს, რომ „ნაციონალები“ შეეცდებიან ქვეყანა ორხელისუფლებიანობის პირობებში ამყოფონ - შეცვალო აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირები, ანუ მინისტრები, ხოლო ადგილებზე შეინარჩუნო ძალაუფლება, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ისინი ყველაფერს მხოლოდ პიარის და დეკლარირების დონეზე აკეთებენ, ანუ ის თითქოსდა კეთილი ნება, რომელიც ნაციონალებისგან მოდის, ძირითადად მხოლოდ პიარს ემსახურება. რეალურად კი ისინი ორხელისუფლებიანობისთვის ემზადებიან.

**ჭიაბერაშვილის კახეთის გუბერნატორად გადაყვანა ძალიან ნიშანდობლივი სიმპტომია, რაც „ქართულ ოცნებას“ პრობლემებს შეუქმნის.**

ნაციონალები მათ მიერ კონტროლირებადი ტელევიზიების მეშვეობით დაიწყებენ იმის გაპიარებას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება „ქართულ ოცნებას“ გადასცეს. ამის პარალელურად ადგილებზე მართვის თვალსაზრისით შექმნიან პრობლემებს, ანუ, თუ ადგილებზე გუბერნატორები ისევ პრეზიდენტს დაემორჩილნენ, ხოლო მინისტრები — ივანიშვილს, ბუნებრივია ეს სერიოზულ დილემას შექმნის. ნაციონალური ტელევიზიები შეეცდებიან, ეს პრობლემები დააბრალონ არა ორხელისუფლებიანობას, რომელიც თავად ნაციონალებმა შექმნეს, არამედ „ქართული ოცნების“ უსუსურობას. როგორც უკვე იკვეთება, ესეც გადასალახი ბარიერი იქნება.

**ამასთანავე, ძალიან მაფიქრებს მიხეილ სააკაშვილის ცნობილი ფრაზა, რომელიც მან რამდენიმე წლის წინათ თქვა — მე რომ ახლა ოპოზიციაში ვიყო, ამ ხელისუფლებას სამ თვეში დავამთავრებდიო. სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ ახლა სწორედ ოპოზიციაში არიან და ოპოზიციაში მათი ყოფნა შეიძლება არანაკლებ უხერხული გამოდგეს, ვიდრე ხელისუფლებაში ყოფნისას იყო.**

**შემდეგი და ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი არის „ქართული ოცნების“ გამარჯვებაზე დასავლური პრესის გამოხმაურება და მისი პირველი პირის შეფასებები. ერთმნიშვნელოვნად იკვეთება ის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი ლობისტური რესურსი სრულად აამუშავა.** ფაქტობრივად, ბოლო პერიოდის პრესაში (საუბარია მსოფლიო პრესის ისეთ ვეშაპებზე, როგორებიც არის „გარდიანი“, „ნიუ-იორკ თაიმსი“, „ვაშინგტონ პოსტი“ და ა.შ.ძ **ნაკლებად შეგხვდებათ „ქართული ოცნების“ გამარჯვების მიმართ ისეთი აღფრთოვანებული ტონი, როგორიც მათ „ნაციოანლური მოძრაობის“ მიმართ ახასიათებდათ.** დადებითი პასაჟები მოდის იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში დემოკრატიამ გაიმარჯვა და მოხდა ხელისუფლების დემოკრატიულად გადაცემა და ძირითადად ეპითეტები მიმართულია „ნაციონალური მოძრაობის“ და მიხეილ სააკაშვილისკენ, რომელმაც ეს შეძლო. თუ არ ვცდები, „გარდიანს“ ეწერა, მიხეილ სააკაშვილის მხრიდან ძალიან დიდსულოვანი ნაბიჯი იყო ხელისუფლების ასეთი მშვიდობიანი გზით გადაბარება, ზოგადად თავისი არადემოკრატიულობით და ძალისმიერი მეთოდებით ცნობილ რეგიონშიო. ამის პარალელურად **„ქართული ოცნების“ მიმართ ძირითადად კითხვები ისმის. ამ კითხვების პათოსი ძირითადად შემდეგია: ხომ არ არის „ქართული ოცნების“ გამარჯვება „საქართველოს რუსეთისკენ მიბრუნების ერის დასაწყისი“.**

# „სააკაშვილის რევანშისტული გეგმები და რისკები ივანიშვილისთვის“



**მეორე თემა, რომლის ზედაპირზე ამოტანას დასავლური პრესა აქტიურად ახორციელებს, არის ის, თუ რამდენად შეძლებს ბიძინა ივანიშვილი საკუთარი გუნდის მონოლითური ერთიანობის შენარჩუნებას, ლიბერალებისა და ულტრანაციონალების დაპირისპირების თავიდან აცილებას და ა.შ. რაც მთავარია, აქვთ ძალიან დაძაბული მოლოდინი, თუ რა იქნება საქართველოში. ისინი ფიქრობენ, რომ, შესაძლოა, საქართველოში პროცესები ისეთი ბობოქარი იყოს, როგორც არასდროს. ყველა ეს კითხვა და შეფასება ძალიან თვალშისაცემია და მე ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ნაციონალების ლობისტური საქმიანობის შედეგია, რათა, ერთი მხრივ, ის, რაც მოხდა, სააკაშვილს პლუსად ჩაუწერონ, ხოლო, მეორეს მხრივ, არცთუ ისე პოზიტიური კონტექსტით დასვან უამრავი კითხვა** (კითხვის დასმას, რა თქმა უნდა, მათ ვერავინ აუკრძალავსძ ივანიშვილისა და მისი პოლიტიკური გუნდის მიმართ.

ყველაფერ ამასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია ის, რომ ერთ თვეში ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. დარწმუნებული ვარ, რომ **ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელების გამარჯვების შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობის“ ეს მშვიდობიანი რიტორიკაც კი, ანუ დეკლარირების დონეზე მშვიდობიანი ტონი, შეიცვლება.**

**იმას, რომ „ნაციონალები“ ხელისუფლების გადაცემის პროცესს დროში წელავენ, უამრავი მოტივაცია აქვს, მაგალითად, საქართველოდან ქონების გატანა, ასევე თუნდაც ის, რასაც დღეს ვხედავთ, ანუ ორხელისუფლებიანობისთვის ნიადაგის მომზადება, და ა.შ. მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი არის სწორედ ის, რომ ისინი ცდილობენ, ხელისუფლების გადაბარების დრო როგორმე ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებამდე გაწელონ.** სრულიად სხვა არის მათი რიტორიკა ობამას პრეზიდენტობის პერიოდში, და გარწმუნებთ, სრულიად განსხვავებული იქნება მით რომნის, ანუ რესპუბლიკელების გამარჯვების შემთხვევაში. ამიტომ მიმაჩნია, რომ ყველა ეს რისკი „ქართული ოცნების“ მიერ სერიოზულად გასათვალისწინებელია.

„ქართულ ოცნებას“, პრაქტიკულად, სრულიად ცარიელი ბიუჯეტი დახვდება. ეს ინფორმაციებიც სულ უფრო შემაშფოთებელ ხასიათს იძენს, რომ **სადღაც მილიონობით ლარის პრემიები გაიცა, მაგალითად, თავდაცვის სამინისტროში დარიგდა პრემიები და ა.შ. ანუ, ბიუჯეტს შეგნებულად აცარიელებენ, რათა ახალი მთავრობა ეკონომიკური კატასტროფის თუ არა, სერიოზული კრიზისის წინაშე დააყენონ.** ამ ფონზე თუ გავიხსენებთ დავით ბაქრაძის განცხადებას — ჩვენ სულ არ გვაინტერესებს, იმათ როგორი ბიუჯეტი დახვდებათ, ისინი ვალდებულები არიან, ნებისმიერი ბიუჯეტის შემთხვევაში საკუთარი დაპირებები შეასრულონო, ეს ყველაფერი მაფიქრებინებს, რომ ნაციონალები უახლოეს თვეებშივე სერიოზული რევანშისთვის ემზადებიან. ამასთანავე, არსებობს ინფორმაცია, რომ ისინი საკუთარი კოორდინატორების მობილიზებას კვლავ ახდენენ, ყოველ შემთხვევაში, ცდილობენ, რომ მათ მიერ შექმნილი ეს სისტემა არ ჩამოშალონ და ამ ადამიანებს ეუბნებიან, რომ 6 თვის შემდეგ რევანშის საშუალება ექნებათ.

**— რამდენად აქვს „ნაცმოძრაობას“ იმის რესურსი, რომ ეს თავისი რევანშისტული გეგმები განახორციელოს?**

— ის, რაზეც მე ვისაუბრე, ჯერჯერობით, ყველა ეს რესურსი მათ ხელშია. ჭიაბერაშვილის დანიშვნა მართლაც ძალიან სერიოზული სიმპტომია იმისთვის, რომ ჩვენ მათი მხრიდან ორხელისუფლებიანობის სურვილზე ვისაუბროთ. ამასთანავე, 2003 წლისგან განსხვავებით, როდესაც პრაქტიკულად რევოლუციამდე მოხდა შევარდნაძის ხელისუფლებისთვის საყრდენი ფიგურების გამოცლა, დღეს სრულიად სხვა სიტუაციაა. „ნაციონალური მოძრაობა“ როგორც მმართველი პარტია პრაქტიკულად დასრულდა და მაინც როგორ ცდილობენ, მონოლითურობა შეინარჩუნონ. მე ჯერ არ მომისმენია მსხვილი ფიგურების განცხადება იმის თაობაზე, რომ ისინი „ნაციონალურ მოძრაობას“ ტოვებენ, ან არ ყოფილა „ნაცმოძრაობის“ წევრების მიერ პარტიის მასობრივად დატოვების პრეცედენტები. ესეც ძალიან საინტერესო ფაქტია და ეს ყველაფერი რესურსია მათ ხელში.

**მე ნამდვილად არ მინდა აპოკალიფსური სურათი დავხატო და ძალიან კარგად მესმის ის რესურსიც, რაც „ქართულ ოცნებას“ აქვს. მათი მთავარი და ძირითადი რესურსი საკუთრივ ივანიშვილის ფიგურაა, რომელმაც ამ ერთ წელიწადში მართლაც საოცრება შეძლო. მან მოახერხა გაემარჯვა არა მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობაზე“, არამედ (რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია) — დასავლეთში სააკაშვილის უზარმაზარ ლობებზე.** ამიტომ, როგორი რესურსიც არ უნდა ჰქონდეს „ნაციონალურ მოძრაობას“, თავად ივანიშვილის ფიგურასთან მიმართებაში ყველა ეს რესურსი შეიძლება აბსოლუტურად უსუსური აღმოჩნდეს. მეორე მხარეა, რომ პოლიტიკური ძალა, მიუხედავად იმ საოცარი ბრალდებებისა, რომლებიც მის წინააღმდეგ ისმის და იმ განწყობისა, რომელიც საზოგადოებას მის მიმართ აქვს („ნაციონალურ მოძრაობაზე“ მაქვს საუბარიძ, დამარცხების მეორე დღიდანვე ცდილობს საფუძვლები შექმნას ისევ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. ეს სერიოზულად გასათვალისწინებელი ფაქტორია და ამიტომ, როცა ვამბობ, რომ დღეს „ქართულ ოცნებას“ გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეები აქვს გასაკეთებელი — ხელისუფლების გადაბარება და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა, მთავარია, მათი ყურადღების მიღმა არ დარჩეს ეს სიმპტომები და ის ქმედებები, რის გაკეთებასაც ნაციონალები შეეცდებიან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალები საარჩევნო რეჟიმში რჩებიან. დამარცხების მეორე დღიდანვე მათ, ფაქტობრივად, ხელახალი არჩევნებისთვის დაიწყეს მზადება. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი 6 თვის შემდეგ რაღაცის გაკეთებას შეეცდებიან. სიმართლე გითხრათ, მე ნაკლებად რეალურად მეჩვენება, რომ სააკაშვილმა გაბედოს და 6 თვის შემდეგ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს. ამას მხოლოდ იქიდან გამომდინარე ვამბობ, რომ ამ ექვსი თვის განმავლობაში რაც არ უნდა მინუსები ჩაეწეროს „ქართულ ოცნებას“, ეს ნაციონალების მიმართ, საზოგადოების კრიტიკულ დამოკიდებულებას ვერაფრით გადასძალავს. სისულელეა იმის ფიქრი, რომ უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში მოსახლეობა დაივიწყებს იმ ყველაფერს, რაც მან ამ ხელისუფლებისგან უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში იწვნია, მაგრამ როგორც ჩანს, ნაციონალები იმედოვნებენ არა იმას, რომ მათი რეიტინგი ამაღლდება, არამედ მათი მიზანია „ქართული ოცნების“ რეიტინგი შეამცირონ და საზოგადოებაში იმედგაცრუებულთა რიცხვი გაზარდონ, რაც მათ შემდგომი არჩევნების გაყალბების საშუალებას მისცემს. ამ არჩევნების გაყალბება იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ იყო უკიდეგანო საზოგადოებრივი ნება და მობილიზება, რასაც ისინი წინ ვერ აღუდგნენ. **როდესაც ამბობენ, რომ ამ არჩევნებზე 60%-იანი აქტივობა იყო, ეს უბრალოდ სასაცილოა. არჩევნებზე რეალურად ამომრჩევლის სულ ცოტა 80-85% მივიდა. ალბათ, ამ ეიფორიაში დაგვავიწყდა, რომ არჩევნები გაყალბებული სიებით ჩატარდა და სია დაახლოებით 800 000 ამომრჩევლით იყო გაბერილი.** თუ საარჩევნო სიას ამ რიცხვს გამოვაკლებთ, ცხადი ხდება, რომ არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩევლის არანაკლებ 80-85%-მა მიიღო, რაც უპრეცედენტო აქტივობაა. სწორედ ამაზე გაითვლის „ნაციონალური მოძრაობა“, რომ „ქართული ოცნებით“ იმედგაცრუებულთა რიცხვი გაზარდოს. თუმცა, როგორც გითხარით, არ მგონია, მათ ეს უახლოესი 6 თვის განმავლობაში შეძლონ. ამასთანავე, ყველაფერი, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, მათი სურვილია, მაგრამ მეორე მხარეს დგას ბიძინა ივანიშვილის ფიგურა, რომელიც ყველანაირად შეეცდება მსგავსი ტიპის რისკების პრევენციას.

**რუსუდან უშიკიშვილი**

**◎ იმედიანი მომავალი**

**არაფერი განსაკუთრებული, განსაცვიფრებელი და მოულოდნელი არ მომხდარა, ნაცებმა რაც თავიანთი მოხნულ-დათესილით დაიმსახურეს, მოსავალიც იგივე მოიმკეს, უნდოდათ თავი ლიბერტარიანელებად შემოესაღებინეთ, მაგრამ ფაქტობრივად ცოცხისტარიანებლებად დაგვემშვიდობნენ, თანაც ამ ყველაფერს ისეთი ეშხი დაადევნეს, ვითომ ხელისუფლებაში მიტაცებული მაღალი პოსტები ხალხის მსახურების წყურვილით გულანთებულმა დიდი სიხარულითა და რუდუნებით დაუთმეს დემოკრატიული არჩევნებით მოსულ ხელისუფლებას. აკი კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ადრევე თქვა, ნაცებს ისეთნაირად დავამარცხებთ, თავადვე გაეხარდებათო. ვერ გეტყვით, მიხეილ სააკაშვილის „ერთი გუნდის“ წევრები რა დოზით ჩასწვდნენ ივანიშვილის ნათქვამის სიღრმისეულ იუმორს, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებში მარცხით გახარებულმა პრეზიდენტმა თავი გამარჯვებულ ოპოზიციონერად რომ წარმოაჩინა (კაცმა არ იცის, ეს უკვე მერამდენედ გაიმარჯვა დამარცხებულმა სააკაშვილმა) და მთავრობის დემოკრატიულად გადაბარება მოისურვა, ეს ფაქტი ბევრმა უცხოელმა და ადგილობრივმა ექსპერტმა საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარების მორიგ წარმატებად მიიჩნია.**

# ბიზნესს ჯიბეში ხელს ვერავინ ჩაუყოფს



თუმცა აღმოჩნდნენ ურწმუნო თომებიც, მათ შორის „თეთრების“ თმაშევერცხლილი ლიდერი თემურ შაშიაშვილი, რომელიც ღიად აცხადებს, რომ არ ენდობა სააკაშვილის საეჭვოდ მაცდუნებელ ოპოზიციონერობას. მისი თქმით, ის ოპოზიციაში კი არა, სინამდვილეში ჩასაფრებაში გადავიდა და არავინ უწყის, როდის გამოსდებს კვანტს „ქართული ოცნების“ საქვეყნო აღმშენებლობის პროგრამას. ვერ გეტყვით, ამჯერად რამდენად სარწმუნო აღმოჩნდება შაშიაშვილის ეჭვები ერთთავად მატყუარა და სიტყვის გამტეხი სააკაშვილის მიმართ (მან ამის უთვალავი „მარგალიტი“ დაგვიტოვაძ, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ ქვეყნის თავნება პრეზიდენტი ოპოზიციონერის მანტიაში გამოპრანჭული მოგვევლინა, უპრეცედენტო სისულელედ არ გეჩვენებათ? თუ სააკაშვილის ეს ნაბიჯი, როგორც ზოგიერთებს ეჩვენებათ, სისულელე კი არა, დიდად წინდახედული და გონივრულია, მაშინ იქნებ აგვიხსნან მომდევნო ერთი წლის მანძილზე, როცა სააკაშვილი კვლავ მთელი ქვეყნის პრეზიდენტად რჩება, მან მოქმედ ხელისუფლებაში ვის უნდა გაუწიოს ოპონირება, — საკუთარ თავს?!.

ჩემი აზრით, პრეზიდენტისთვის, რომელსაც ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩადენილი უამრავი დანაშაულის გამო (მათი ჩამოთვლა გამიჭირდებაძ იმპიჩმენტი ემუქრება, როგორც ბიძინა ივანიშვილმა ურჩია (ურჩია და არა მოითხოვა, როგორც ეს უცხოურმა პრესამ გაავრცელაძ, ურჩევნია გადადგეს, ვიდრე პოსტზე დარჩენით რაიმე პოლიტიკური და სამთავრობო კრიზისის საშიშროება შექმნას. ამას, რა თქმა უნდა, ახლო მომავალში თავად ხალხი გადაწყვეტს, ამ წერილში კი მინდა შევეხო ბიზნესზე ხელისუფლების ზეწოლისგან გათავისულების მწვავე პრობლემას, რომელიც ასე ღიად და საჯაროდ დაისვა ამ დღეებში „ქორთიარდ მერიოტში“ ბიზნესმენებთან ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე. თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ პრობლემის გადაჭრა ქვეყნის ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის ზრდისთვის, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ შეხვედრაზე იმაზე ორჯერ მეტი ბიზნესმენი მივიდა, ვიდრე მიწვეულები იყვნენ. წინა ხელისუფლების პერიოდში ასეთ „წვეულებებს“, გასაგები მიზეზების გამო (იქ ბიზნესზე ე. წ. „შეწერვები“ მიდიოდაძ ბევრი ბიზნესმენი გაურბოდა(!ძ.

როგორც შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, სამომავლოდ ასეთი „წვეულებები“, ხელისუფალთა და ბიზნესმენთა „დამეგობრების“ გახშირებული პრაქტიკა მხოლოდ წარსულის „სევდიან მოგონებად“ დარჩება. მისი თქმით, ხელისუფლება ბიზნესთან კი არ უნდა მეგობრობდეს, არამედ მის გასაჭირსა და პრობლემებს უნდა ისმენდეს და ამის მიხედვით მოქმედებდეს. ყოვლად მიუღებელია ისეთი ურთიერთობები ბიზნესთან, როგორიც წინა ხელისუფლებას ჰქონდა დამკვიდრებული ბიზნესსივრცეში.

კერძოდ, რა ურთიერთობებზეა საუბარი?

ძნელია კაცმა ჩამოთვალოს ყველა ის ფორმა და მეთოდი, რომელსაც ტოტალიტარული ხელისუფლების ბიზნესის დასანგრევად იყენებდა. იმის თქმა კი გაცილებით იოლად შეიძლება, რომ ზეწოლას (რბილად ნათქვამიაძ, უფრო სწორად, ძარცვასა და დაყაჩაღებას, რასაც ბიზნესმენები ნაცების ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში იყენებდნენ, ალბათ, მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერ დაივიწყებენ. ხელისუფლება, რომელმაც საქართველოში თითქოს ბიზნესის წამოწყებისთვის მთელ მსოფლიოში გამორჩეული სამუშაო პირობები შექმნა, სინამდვილეში ბიზნესმენთა ყოველდღიური დაშინებითა და შანტაჟით, უკანონო დაპატიმრებებით, ზღვარგადასული ჯარიმებითა და საპროცესო გარიგებებიდან ამოღებული თანხებით ახერხებდა ბიუჯეტის საშემოსავლო მოცულობის შეკოწიწებას.

ასეთ პირობებში ხელ-ფეხი ჰქონდათ გახსნილი მხოლოდ იმ კომპანიებს, რომლებიც ხელისუფლებასთან ძმაკაცური მოლაპარაკებებით და ეგრეთ წოდებული კარტერული გარიგებების წყალობით აღწევდნენ, გამხდარიყვნენ მონოპოლისტები ან ოლიგოპოლისტები. ამან რა შედეგიც გამოიღო, ხალხმა საკუთარ თავზე უკვე არაერთგზის იწვნია. მონოპოლისტური ბაზარი ხომ ყოველთვის ორ რამესთან არის დაკავშირებული — გაზრდილ ფასებსა და გაუარესებულ სერვისთან, როცა მომხმარებელი იძულებულია, ერთიდაიმავე კომპანიის ან ერთმანეთში გარიგებული კომპანიების საქონელი შეიძინოს. ამით მომწოდებელი ბოროტად სარგებლობს, ზრდის ფასს და ხარისხს აუარესებს. ამის მაგალითია ოლიგოპოლური მდგომარეობა საწვავის ბაზარზე, ფარმაცევტულ და რიგ სხვა სფეროებში, რაც ისედაც ლატაკ მოსახლეობას უფრო მძიმე ტვირთად აწვება. ამას ემატება ხელისუფლებასთან შეხმატკბილებული ეროვნული მარეგულირებელი კომპანიების გადაწყვეტილებები, რომლებიც გადასინჯვას არ ექვემდებარება და რომელთა მიხედვითაც არაადეკვატურად მაღალი ტარიფებია დაწესებული.

ასეთი დრაკონული და დანაშაულებრივი ბიზნესგარემოს შემდეგ, რომლის ერთპიროვნული ავტორი სააკაშვილის ერთიანი ნაციონალური გუნდი გახლავთ, ბუნებრივია, სასიამოვნო მოსასმენი იყო ბიძინა ივანიშვილისგან იმის გაცხადება, რომ ამიერიდან ბიზნესი სახელისუფლებო წნეხისგან მთლიანად განთავისუფლდება. ბიზნესმენებს შეუძლიათ აწი გულდამშვიდებით იმუშაონ, მათ ხელისუფლების წუწკი ჩინოვნიკები ამიერიდან ჯიბეში ხელს ვეღარ ჩაუყოფენ. აჯობებს, თუ თავის მხრივ ბიზნესმენებიც სიფრთხილეს გამოიჩენდნენ და ხელისუფლებასთან მეგობრობისგან (გასაგებია, რა მეგობრობაც იგულისხმებაძ თავს შეიკავებენ. „რაც უფრო შორს იქნება ხელისუფლება ბიზნესისგან, მით უფრო უკეთესი იქნება“ — განაცხადა ივანიშვილმა და იქვე მოუწოდა — „როგორც კი ხელისუფლება თქვენთან მეგობრობას დაიწყებს, უნდა აყვირდეთ, გვიშველეთ, გვაუპატიურებენო“ და მაშინვე მოგეხმარებით.

დადგა ჟამი იმისა, რომ ბიზნესმენები გააქტიურდნენ და ხელისუფალთა უკანონო მოთხოვნებს, თუკი ასეთი რამ მომავალშიც გამეორდება, ფეხქვეშ აღარ გაეგნენ. როგორც შეხვედრაზე ბიზნესმენმა მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, არსებული ხელისუფლების პირობებში ძალიან ძნელი იყო ხელისუფლებასთან ბიზნესმენის ჭიდაობა. თუკი ბიზნესი მთავრობის ზეწოლისგან გათავისუფლდება, რასაც ახალი ხელისუფლება გვპირდება, ბიზნესიც სულს მოითქვამს და ქვეყნის ეკონომიკაც მალევე მოღონიერდება.

ნაცების ხელისუფლებამ, რომელმაც მთელი ამ წლების მანძილზე ხალხის დასაქმებისა და მისი კეთილდღეობის ზრდაზე ქაქანით ყბები გადაიღლიტა, ვერაფრით ვერ გაიგო, რომ ქვეყანაში დასაქმებისა და ეკონომიკის განვითარების ბედს წყვეტს არა ბრტყელ-ბრტყელი დაპირებები, არა სამინისტროს შექმნა, რომელიც თავად არის დაუსაქმებელი, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ჯანსაღი კონკრეტული გარემოს შექმნა. ჩვენ ყველამ დავინახეთ, რომ რეალურ სამუშაო ადგილებს ქმნის არა დასაქმების სამინისტრო, არამედ კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემო.

შექმნილი ჩიხიდან გამოსავალი ერთადერთია და ეს მშვენივრად აქვს გაცნობიერებული ხალხის არჩევითა და ნებასურვილით მოსულ ხელისუფლებას. აუცილებელი და გარდაუვალია, ბიზნესმა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში წამყვანი ნიში დაიკავოს, უმოკლეს დროში აღსდგეს ანტიმონოპოლიური სამსახური და საარბიტრაჟო სასამართლო, პოლიცია და პროკურატურა ჩადგნენ ხალხის სამსახურში, მედია და ბიზნესი კი ხელისუფლების ჩარევისგან განთავისუფლდეს.. როდესაც ივანიშვილი ბიზნესმენებს შეჰპირდა, ყველაფერ ამას უახლოეს მომავალში ვიხილავთ.

**ოთარ ხუციშვილი**

**◎ ინფორმაცია**

## „ქართული ოცნების“ სარჩელი არ დააკმაყოფილეს

**გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა კოალიცია „ქართული ოცნების“ სარჩელი, რომლის მიხედვითაც, „ქართული ოცნება“ ყვარლის 316 საარჩევნო ოლქში 4 უბნის შედეგების ბათილად ცნობას და ხელახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვდა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსის“კორესპონდენტი იუწყება, კოალიციის წარმომადგენლების განცხადებით, ყვარელში სპეცსიებში შეყვანილ სამხედრო პირებს მაჟორიტარულ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდათ. გაასაჩივრებენ თუ არა სააპელაციო სასამართლოში გურჯაანის რაიონული სასამართლოს განჩინებას, „ქართულ ოცნებაში“ ჯერ არ გადაუწყვეტიათ.**

**12-საათიანი განხილვის შემდეგ, დედოფლისწყაროს რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა „ქართული ოცნების“ სარჩელი, რომლის მიხედვითაც, კოალიცია დედოფლისწყაროს 3 14 საარჩევნო ოლქში 10 უბნის შედეგების ბათილად ცნობას და განმეორებითი არჩევნების ჩატარებას ითხოვდა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, კოალიციის წარმომადგენლების განცხადებით, დედოფლისწყაროში ხმის მიცემის პროცესი დარღვევებით მიმდინარეობდა. მათი თქმით, კენჭისყრის დღეს ამომრჩევლის დაშინებასთან ერთად, ზოგიერთ უბანზე ბიულეტენების ჩაყრაც დაფიქსირდა. დედოფლისწყაროს სასამართლოს გადაწყვეტილებას „ქართული ოცნება“ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს. საპარლამენტო არჩევნებში დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა ზაზა კედელაშვილმა, 49 %, ხოლო „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ლექსო თამაზაშვილმა 47% მიიღო.**

## აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბედზე საქართველოსთან მოლაპარაკებებს არ დავიწყებთ



**რუსული მედიის ცნობით, ამის შესახებ რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან დავით სანაკოევთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.**

**— რაიმე მოლაპარაკებები საქართველოსთან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბედზე, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ ქვეყანასთან, არ გვექნება, რადგან ამ რესპუბლიკების ბედი ხალხმა გადაწყვიტა, რომლებმაც დამოუკიდებლობას დაუჭირეს მხარი, — განაცხადა ლავროვმა.**

**ამასთან, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გამოთქვა იმედი, რომ არჩევნები და ის ცვლილებები, რომელთაც მხარი ქართველმა ხალხმა დაუჭირა, საქართველოს ხელისუფლებას მეზობლებთან ურთიერთობების ნორმალიზაციის საშუალებას მისცემს.**

## თუ ქართული ოცნება იმაში მდგომარეობს, რომ აფხაზეთი დაიბრუნონ, მაშინ ეს აუხდენელი ოცნებაა



**ამის შესახებ აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი აცხადებს, რომელსაც აფხაზური მედია ავრცელებს. ანქვაბის თქმით, იგი ნებისმიერ მთავრობას დაელპარაკება, მხოლოდ თანაბარ პირობებში.**

**— თუ „ქართული ოცნება“ სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერას გულისხმობს, მაშინ ამ საკითხის განხილვა შესაძლებელია. ჩვენ ვცხოვრობთ კონსტიტუციით, სადაც აღნიშნულია, რომ აფხაზეთი არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და ეს საკითხი გადახედვას არ ექვემდებარება. ეს არის არა მხოლოდ აფხაზეთის მთავრობის, არამედ აფხაზი ერის აზრი, — განაცხადა ანქვაბმა.**

ინტერპრესი

რჩევა

# ჩემო ჯერ კიდევ პრეზიდენტო, უნდა წახვიდე!

შიშნარევი იყო პირველი ოქტომბერი. შიში პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ მინელდა... ახლა კი კვლავ აქტუალურია — წავა?! არ წავა?!

ჩემო ჯერ კიდევ პრეზიდენტო:

უნდა წახვიდე! ისევე წყნარად და მშვიდად გამოაცხადო შენი გადადგომა, როგორც არჩევნების წინა დღეს მცხეთიდან გვეჟღურტულებოდი. უნდა წახვიდე! იმიტომ, რომ წასვლა მაინც მოგიწევს. ტყუილად ითვლი შენს დეპუტატებს პარლამენტში. მათი უმეტესობა უკვე გარიგებულია და პარლამენტის შეკრებისთანავე გადასკუპდება სხვა ნავში. მერე კი შენი იმპიჩმენტის საკითხი იმაზე ადვილია, ვიდრე ამჟამად გიგი უგულავას „გადაყენება“.

ჩემო ჯერ კიდევ პრეზიდენტო:

უნდა წახვიდე! ვიცი, ძნელია და გეთანხმები იმაში, რომ არ შეიძლება რეპუბლიკელებს, კობა დავითაშვილსა და სხვებს დაუტოვო ქვეყანა, მაგრამ ფაქტია, უმრავლესობამ ესენი გამჯობინა. და კიდევ „რუსეთუმეები, მოღალატეები და ბინძურხელებიანები“ — როგორადაც აფასებდი მათ, ხალხმა ესენიც გამჯობინა.

საფრთხეებმა, რომელზედაც მუდმივად საუბრობდი, ვერავინ შეაშინა. მეტიც, ის საფრთხეები ამჯობინა უმრავლესობამ შენს თავს. როგორც ჩანს, შენ უფრო დიდი საფრთხე აღმოჩნდი! ახლაც მესმის შენი ხმა, აგვისტოს ომის დროს რომ განაცხადე — „რომ ამბობენ, ჯარი ამოხოცაო, ჯარი იმიტომ ჰყავს ქვეყანას, აბა რა უნდა ქნასო“. ჰოდა, უნდა წახვიდე! ისიც არ იცი, ჯარი რატომ ჰყავს ქვეყანას!

ჩემო ჯერ კიდევ პრეზიდენტო:

26 მაისს, როცა ბართლომეს ღამე მოაწყვე რუსთაველზე და შენმა ჯალათებმა რუსთაველის კინოთეატრში შეყრილი ხალხი გააუპატიურეს, იქიდან ერთ-ერთმა, 23 წლის ბიჭმა დედის საფლავზე ვენები გადაიჭრა და ისე დაასრულა სიცოცხლე. ამიტომ უნდა წახვიდე!

ჩემო ჯერ კიდევ პრეზიდენტო:

ერთი უწყინარი, მშრომელი ადამიანის ჯემალ კვიჭიძის მოკვლის გამო უნდა წახვიდე. ჯერ კიდევ საკრებულოდან რომ აიძულებდით შენ და შენი ამფსონები სახლების გადახურვისას თუ სხვა სამუშაოებისას მოტეხილი ფულის გათეთრებას, მერე დაიჭირე, შვილები უსახლკაროდ დაუტოვე და სიკვდილის პირას მყოფი გამოუშვი ციხიდან, რათა ხელახლა მოგეკლა და მოკალი კიდეც! ასეთები ბევრი მოგიკლავს...

ჩემო ჯერ კიდევ პრეზიდენტო:

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის დროს, პირსისხლიანმა როდიონოვმა იმის მიუხედავად, რომ ნიჩბებით ამოხოცა ახალგაზრდები, გასასვლელი დაუტოვა ხალხს. შენ კი 26 მაისს ეს არ გააკეთე! წრეში მომწყვდეულები დაასახიჩრე, ათასამდე დააპატიმრე და ცხედრები მაღაზიის თავზე შემოალაგე! ამიტომ უნდა წახვიდე!

ჩემო ჯერ კიდევ პრეზიდენტო:

უნდა წახვიდე! რადგან 19 სექტემბერს გვითხარი, რომ მე-8 საპყრობილეში მომხდარი ამბის გამო 11 პირი დააკავე და მათ შორის იყო დავით ჭაკუა. თურმე მოგვატყუე! დავით ჭაკუა საქართველოდან წავიდა!

ჩემო ჯერ კიდევ პრეზიდენტო:

შენ მიერ, უშუალოდ თუ დავალებით, განხორციელებული სიბინძურეებისა და სისასტიკეების მოყოლა დაუსრულებლად შეიძლება, რის გამოც უნდა წახვიდე, მაგრამ მოყოლა რად გინდა, ეს შენც ხომ კარგად იცი!

ჩემო ჯერ კიდევ პრეზიდენტო:

ვიცით, რომ რუსეთი ძალიან საშიშია! ვიცით, რომ ოკუპანტია, ვიცით, რომ საქართველოს დაუძინებელი მტერია! ამას ისე გვახსენებდი, თითქოს ომის დამთავრებიდან ათიოდე დღეში ენგურჰესი სხვა მთავრობამ გადასცა რუსეთს, მანამდე გადაცემულებზე რომ აღარაფერი ვთქვათ! ფაქტია, რუსეთის ძახილმა ვერ გიშველა. ისიც ფაქტია, რომ სკამის შელევა ისევე გიჭირს, როგორც შენს წინამორბედს, თუმცა ის გადადგა!

ჩემო ჯერ კიდევ პრეზიდენტო:

უნდა წახვიდე. მერწმუნე, რუსეთს საქართველოს არავინ დაანებებს! თუ რუსეთი რამეს გაბედავს, მთელი საქართველო წინ აღუდგება, თუნდაც იმ ფორმით, შენი პარტიის პირველმა ნომერმა რომ მოგვიწოდა აგვისტოს ომის დროს. წინ აღვუდგებით და დავიხოცებით! დაგვხოცავს მტერი და არა შენი ჯალათები თავიანთ გასართობად, ისე, როგორც ეს ვნახეთ მე-8 საპყრობილეში. ამიტომ გავრისკეთ! ამიტომ გითხარით უარი! აქამდე მიგვიყვანე შენი სიყრუით, შენი სიბრმავით და შენი ისტერიკული სიცილით!

ჩემო ჯერ კიდევ პრეზიდენტო:

გირგვლიანი, ვაზაგაშვილი, რობაქიძე... და კიდევ ვინ მოთვლის... 7 ნოემბერი, 26 მაისი, დატერორებული ბიზნესი, 99 პროცენტი გამამტყუნებელი განაჩენები და... ბევრი, ძალიან ბევრი...

„უბადრუკმა ბედუკაძემ“ კი არ მოგკლა მართლა, ქართველმა კაცმა განაცვალა საკუთარ ღირსებას. ხოლო ის, ვინც ამჟამად გაგულიანებს, იმაზე დიდი მტერია შენი, ვიდრე შენ მიერ დახვრეტილი ბიჭების მშობლები...

უნდა წახვიდე! ოღონდ მხოლოდ თანამდებობიდან! უნდა წახვიდე, რათა ქვეყანას კიდევ არაფერი დაუშავო. ღმერთმა დაიფაროს სრულიად საქართველო, ოდესმე შენ გინატროს!

უნდა წახვიდე! ოღონდ მხოლოდ თანამდებობიდან! უნდა წახვიდე, რათა ქვეყანას კიდევ არაფერი დაუშავო. ღმერთმა დაიფაროს სრულიად საქართველო, ოდესმე შენ გინატროს!

**თემურ ჭუმბურიძე**

წარდგინება



# „მინისტრთა ახალი კაბინეტი პროფესიონალიზმის გათვალისწინებით დაკომპლექტდა!“

**ექსპერტი რამაზ საყვარელიძე კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მიერ წარმოდგენილი მთავრობის ახალ შემადგენლობას დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ, სავარაუდოდ, ისინი საზოგადოების ნდობას გაამართლებენ.**

როგორც ექსპერტმა From.ge-სთან საუბარში განაცხადა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ წარმოდგენილ სურათში ძალიან ბევრი ნაცნობი სახეა, საზოგადოების განწყობა და დამოკიდებულებაც მათ მიმართ ადვილი ჩამოსაყალიბებელია.

საყვარელიძის თქმით, მიუხედავად ამისა, წინასწარი მოლოდინებისა და ვარაუდების განსაზღვრა მაინც შეუძლებელია მანამ, სანამ ახალი მინისტრები თავიანთ მოვალეობას პრაქტიკულად არ შეუდგებიან.

**„როცა მინისტრები სავარძელში ჩასხდებიან, ამხელა სისტემებს წამოიკიდებენ და პასუხისმგებლობას დაიკისრებენ, მერე გაირკვევა რამდენად გაართმევენ თავს ისინი მათზე დაკისრებულ მოვალეობებს და რამდენად ექნებათ უნარი იმ პრობლემების გასამკლავებლად, რომელიც ორგანიზაციაში წარმოიქმნება. ამ გადასახედიდან პოზიტიური სურათი გვაქვს.**

ექსპერტი მიიჩნევს, რომ დღეს მინისტრთა ახალი კაბინეტის დაკომპლექტების მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოიკვეთა, რაც, მისი თქმით, მინისტრების პროფესიონალიზმის გათვალისწინებას უკავშირდებოდა.

საყვარელიძე აცხადებს, რომ წინა ხელისუფლების მიერ ეს პრინციპი უგულებელყოფილი იყო, ახლა კი ეს შეიცვალა და აღნიშნა, რომ ეს მისასალმებელია.

**„წინა ხელისუფლებამ გააცხადა, რომ მათ სჭირდებოდათ კარგი მენეჯერები და არა პროფესიონალები, მაშინ, როცა იმ ადამიანებს მენეჯერობის გამოცდილებაც არ ჰქონდათ. ამ პრინციპებმა ძალიან ბევრი რამ დააშავა ჩვენს სინამდვილეში. ამიტომ ეს გასათვალისწინებელი იყო. ახალ მთავრობაში კი ამის გათვალისწინება თვალსაჩინოა და ამას მივესალმები“,** — აღნიშნა საყვარელიძემ.

**რაც შეეხება კონკრეტულ პიროვნებებს, ექსპერტი აცხადებს, რომ დასახელებულ მინისტრთა უმეტესობას პიროვნულადაც იცნობს და ენდობა მათ.**

სამართალს ითხოვს!

# შალვა ხაჭაპურიძემ გენპროკურატურაში ოთხი სარჩელი შეიტანა

**„ქართული ოცნების“ თეთრიწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატმა შალვა ხაჭაპურიძემ გუშინ გენერალურ პროკურატურაში ოთხი სარჩელი შეიტანა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის დავით ბეჟუაშვილის, დავით კირკიტაძის, დავით კოდუას და კიდევ რამდენიმე პირის მიმართ სისხლის სამართლის აღძვრას ითხოვს.**



პირველი საჩივრის მიხედვით, ხაჭაპურიძე დავით ბეჟუაშვილისა და ერეკლე კოდუას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს. ხაჭაპურიძის განცხადებით, აღნიშნულმა პირებმა კანონიერ ქურდს შაქრო კალაშოვს 1 მლნ ევრო და 500 ათასი ევროს ღირებულების ქონება ხელშეუხებლობის გარანტიის მოტივით გამოართვეს.

მაჟორიტარობის კანდიდატი მეორე საჩივრით ასევე დავით ბეჟუაშვილის, ქვემო ქართლის გუბერნატორის დავით კირკიტაძისა და დავით კოდუას სისხლის სამართლის პასუხისგებას ითხოვს. ხაჭაპურიძე მათ ბიზნესმენ კალანდაძისთვის 50 გაზგასამართი სადგურის ჩამორთმევაში ადანაშაულებს.

მესამე სარჩელი ეხება დავით ბეჟუაშვილს, თეთრიწყაროს რაიონის გამგებელ გია მესტვირიშვილს და ამავე გამგეობის წევრს თამარ დალაქიშვილს. ამომრჩევლის მოსყიდვისთვის ხაჭაპურიძე არჩევნების გაყალბების მოტივით მათ დასჯას ითხოვს.

ხაჭაპურიძის მეოთხე სარჩელი კი, თეთრიწყაროს ორ მოსამართლეს ეხება, რომელთა ვინაობა ხაჭაპურიძეს არ დაუსახელებია. მაჟორიტარობის კანდიდატი აღნიშნული მოსამართლეების უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დაპატიმრებას ითხოვს.

შალვა ხაჭაპურიძემ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კონსტანტინე კუბლაშვილსაც მიმართა და განუცხადა, რომ შეწყვიტოს მოსამართლეებზე ზეწოლა და მუქარა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხაჭაპურიძე კუბლაშვილის წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს.

**From.ge**

ინფორმაცია

## თამაზ თამაზაშვილი საპყრობილეს 11 ოქტომბერს დატოვებს

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ უზენაესი სასამართლოდან აცნობეს, 9 ოქტომბერს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ პროკურორსა და მსჯავრდებულ თამაზ თამაზაშვილს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა.**

**— თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 აპრილის განაჩენით, თამაზ თამაზაშვილი მსჯავრდებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღის და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვასა და ტარებაში და მას 3 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. თამაზაშვილი სასჯელს იხდის 2011 წლის 11 ოქტომბრიდან.**

**განაჩენი უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ. უზენაეს სასამართლოში საქმის საკასაციო წესით განხილვისას მხარეების მიერ შემოტანილ იქნა საპროცესო შეთანხმება სასჯელზე.**

**სასამართლომ მსჯავრდებულს დაწვრილებით განუმარტა მისი უფლებები, შესაბამისად, სასამართლო დარწმუნდა, რომ დაცული იყო საპროცესო შეთანხმების დადების ყველა წინაპირობა, ამასთან, მხარეებმა (მსჯავრდებულმა, მისმა ადვოკატმა და პროკურორმა) სასამართლო პროცესზე კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მათ შორის ნებაყოფლობით მოხდა შეთანხმება სასჯელზე.**

**უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა მხარეებს შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება და მსჯავრდებულ თამაზ თამაზაშვილს სასჯელის სახით განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, — აღნიშნულია უზენაესი სასამართლოს ინფორმაციაში.**

**თამაზაშვილს ეს ერთწლიანი ვადა სწორედ 2012 წლის 11 ოქტომბერს ეწურება.**

## კუდ-ი და სოდ-ი, სავარაუდოდ, გაუქმდება

**— ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ოფისში ჟურნალისტებს შს მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ღარიბაშვილმა განუცხადა. მისი თქმით, ჯერჯერობით მიმდინარეობს კონსულტაციები და საბოლოო გადაწყვეტილება ცოტა ხანში გახდება ცნობილი. მისივე თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში რეორგანიზაციის პროცესია დაგეგმილი.**

ინტერპრესი

◉ ციხის არქივები ნადგურდება!

# ვისი განკარგულებით და ნაყრუშებით კეთდება ეს?

**ციხის არქივები ინტენსიურად ნადგურდება. უკვე რამდენიმე დღეა, ამის შესახებ ინფორმაციას უფლებადამცველები ავრცელებენ. არქივის განადგურებას პრივატულ საუბრებში სასჯელაღსრულების ახალი მინისტრი გიორგი ტუღუშიც ადასტურებს, თუმცა, როგორც უფლებადამცველები აცხადებენ, ჯერჯერობით, ამ კუთხით გიორგი ტუღუშს დამნაშავეების დასჯა არ მოუთხოვია.**

**ჟურნალისტებმა და უფლებადამცველებმა ლალი მოროშკინამ, სოსო მანჯავიძემ, კოტე ინაშვილმა, მერაბ ქიტაშვილმა სასამართლოს მიმართეს, რათა გამოიძიონ, ვინ და როდის გაანადგურა არქივები. მათი თქმით, თუ ეს დანაშაული მინისტრ კალმახელიძის დროს დაიწყო, მაშინ იგი პასუხისგებაში უნდა მიეცეს. ხოლო, თუ ტუღუშის დროს მოხდა, მაშინ მან უნდა აგოს პასუხი.**

**ლალი მოროშკინა მიიჩნევს, რომ ის, რაც ამ არქივებში ჯერ კიდევ დარჩენილია, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა სასწრაფოდ უნდა გადაიბარონ.**

**For.ge ლალი მოროშკინასა და სოსო მანჯავიძეს ესაუბრა.**



ჟურნალისტისა და უფლებადამცველის ლალი მოროშკინას თქმით, ციხის არქივები უკვე განადგურებულია. ამის გამო სასწრაფო განცხადება უნდა გააკეთოს გიორგი ტუღუშმა და განმარტოს, განადგურებული დახვდა არქივი, თუ მის დროს განადგურდა. ჟურნალისტის აზრით, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. უფრო მეტიც, ლალი მოროშკინას ძალიან უკვირს, გიორგი ტუღუშმა აქამდე რატომ არ გამოხატა საკუთარი პოზიცია და მისი პირველივე ბრიფინგი ზუსტად ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით რატომ არ გაიმართა. როგორც წესი, ეს ჩვეულებრივი პროცედურაა, რომელსაც გადის ნებისმიერი ჩინოვნიკი, როდესაც ახალ სამსახურში იწყებს მუშაობას. ასევე იქცევიან თუნდაც საბავშვო ბაღების დირექტორები, არამცთუ სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ხელმძღვანელები.

**„ვიზუალურმა მასალამ მოაგებინა არჩევნები „ქართულ ოცნებას“ და სწორედ გლდანის ციხეში გადაღებულმა ვიზუალურმა კადრებმა მისცა ქართველ ერს საშუალება, რომ თავისუფლად ამოესუნთქა. იმის მიუხედავად, რომ ვიცოდით, რაც ციხეებში ხდებოდა, ვიზუალი მაინც ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა საკითხი დგას ასე, ვის დროს განადგურდა და ვისი ბრძანებით. ამიტომ სასწრაფოდ უნდა დაკითხონ და დაიჭირონ ხათუნა კალმახელიძე. ეს ისედაც უნდა მოხდეს, ასევე, უნდა აიყვანონ შაშკინი და ყველა ის პირი, რომლებიც დანაშაულში იმხილებიან“,** – აცხადებს ლალი მოროშკინა და დაუშვებლად მიიჩნევს, რომ ეს ადამიანები საქართველოდან დაუსჯელად გარბიან.

მისი აზრით, გიორგი ტუღუში ახლა ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია და მისი ტაქტიკური შეცდომა იყო, როდესაც დათანხმდა ახალ თანამდებობას. შესაბამისად, დიდი პასუხისმგებლობა პირადად მას ეკისრება.

რაც შეეხება სამხილების განადგურებას, ლალი მოროშკინა საქართველოში გაჩაღებულ ბოლოდროინდელ კოცონებს სწორედ დანაშაულის დაფარვას უკავშირებს.

**„კიდევ წლები დაგვჭირდება იმის გასაგებად, თუ სად რა დაიწვა. არც ერთი კოცონი, რომელსაც ამ ბოლო დროს აჩაღებენ, შემთხვევით არ ინთება. „ლიბერთი ბანკის“ დაწვა პირდაპირ უკავშირდება ფაქტების განადგურებას. ლისის ტბაზე გაყალბებული საარჩევნო ბიულეტენები დაწვეს. ზუსტად ამიტომ ვამბობ, აუცილებლად პასუხისგებაში უნდა მისცენ ის პირები, რომელთა ხელიც ამაში ურევია. ისინი თავად დაასახელებენ დამკვეთებსაც და შემსრულებლებსაც. ეს პროცესი ახლა რომ დაიწყება, აღარ დამთავრდება. ამიტომ უნდა მოვასწროთ, რომ მათ არ დატოვონ ქვეყანა და არ გაიქცნენ. მე არ მინდა, რომ გაიქცნენ ყოფილი მინისტრები, მინდა, რომ დამნაშავეები დაისაჯონ“.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი სოსო მანჯავიძე დაუშვებლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ციხის სერვერები და ვიდეოკამერები მთლიანად განადგურებულია, რასაც გიორგი ტუღუშიც ადასტურებს. უფრო მეტიც, არქივი სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში გაანადგურეს.

**„ეს არის უმძიმესი დანაშაული. ჯერ ერთი, ეს გახლავთ სახელმწიფო ქონების განზრახ დაზიანება, მეორეც, ეს არის დანაშაულის დაფარვა. ამასთან, ეს პოლიტიკური დანაშაულია, რაც აუცილებლად დაერთვება ჩვენს მიერ შეტანილ ბრიუსელის სარჩელს“,** – აცხადებს „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი.

სოსო მანჯავიძის თქმით, ეს პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხია, რასაც, ცხადია, ბადრაგები თავიანთი ნებით არ გააკეთებდნენ, რადგან სერვერთან ხელი მათ არ მიუწვდებათ. ამდენად, ეს საკითხი ხელმძღვანელობის დონეზეა გადაწყვეტილი.

**„საზოგადოებამ ხმა უნდა ამოიღოს ამის შესახებ. ერთი რაღაც ავიწყდებათ, ახლა, როცა პოლიტიკური წნეხი აღარ იქნება, უამრავი ნაწამები პატიმარი და პოლიტიკური ნიშნით ან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით დაკავებული ადამიანი ამხელს დამნაშავეებს. თუმცა, ის ნივთმტკიცებები, რაც მთელი ცხრა წლის მანძილზე გროვდებოდა, დამნაშავეთა სამხელად ფასდაუდებელი იყო“.**

სოსო მანჯავიძის ინფორმაციით, დღეს აბსოლუტურად უკონტროლოა ციხე და იქ ნებისმიერი ხასიათის დარღვევა შეიძლება მოხდეს. დანაშაულს არანაირი ვიდეოკამერა არ დააფიქსირებს. ამდენად, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი მიიჩნევს, რომ გიორგი ტუღუშს ამაზე განგაში მაშინვე უნდა აეტეხა და მხოლოდ პრივატულ საუბრებში არ უნდა გამოემჟღავნებინა შეშფოთება.

**„წარმოუდგენელია, რომ ერთ დღეში, საქართველოს ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უეცრად არქივი განადგურდა. ჯერ ერთი, ამ საქმესთან დაკავშირებით, პროკურატურას ჩვენი განცხადება არ უნდა დასჭირვებოდა. მეორეც, სასჯელაღსრულების დაწესებულებას, შსს-ს და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება აქვთ. ამიტომ, როდესაც არქივი ქრება, ცხადია, ყველა საქმის კურსში იყო, მით უმეტეს, პირველი პირები,“** – აცხადებს სოსო მანჯავიძე.

**მანანა ნოზაძე**

◉ „ძველი“ პრობლემა

# დაზარალებული მენაშენეები გადამწყვეტ იერიშზე გადადიან

**როგორც კი არჩევნები დასრულდა, დაზარალებულმა მენაშენეებმა დამზარალებლების წინააღმდეგ აქციები ახალი ძალით განაახლეს. რა თქმა უნდა, მთავარი სამიზნე „ცენტრ პოინტი“ და „დექსუსია“. ახლა სწორედ რომ გადამწყვეტი შეტევის დროა. რუსუდან კერვალიშვილი დეპუტატი აღარ არის, ხოლო მომავალი ხელისუფლება მაქინაციებში შემჩნეულ დეველოპერებს ძალიან ალმაცერად უყურებს.**

დაზარალებულმა მენაშენეებმა კომპანია „დექსუსის“ წინ საკმაოდ ხმაურიანი აქცია მოაწყვეს და კონკრეტული მოთხოვნები წამოაყენეს: ისინი წლების განმავლობაში აშენებულ ბინებზე ყადაღის მოხსნას, ამ ბინების დაუყოვნებლივ მათ საკუთრებაში გადაცემას და დარეგისტრირებას და ასევე თანხების დაბრუნებას ითხოვენ. ამისთვის ისინი კომპანიას ერთ კვირას აძლევენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი უმკაცრეს ზომებს მიმართავენ.

**მენაშენეებს ახალარჩეული მთავრობა დიდად ეიმედებათ და აცხადებენ, რომ პროკურატურაში სარჩელს შეიტანენ. ისინი „ცენტრ პოინტის“ ხელმძღვანელებისა და დამფუძნებლების პასუხისგებაში მიცემას მოითხოვენ. ამასთან, დედაქალაქის მერს გიგი უგულავას ამ პროცესების მფარველობაში ადანაშაულებენ.**

დაზარალებულთა მტკიცებით, მათ ბინების მშენებლობისათვის 300 მილიონზე მეტი თანხა აქვთ გადახდილი და დაახლოებით 6 000-ზე მეტი ადამიანია ამ მშენებლობებით დაზარალებული.

აქციის მონაწილეებს შეხვდა „დექსუსის“ დამფუძნებელი ირაკლი კილაურიძე. იგი შეეცადა, რომ დაზარალებული მენაშენეების კითხვებისთვის ეპასუხა, თუმცა აქციის მონაწილეებმა მისი პასუხები სათანადოდ არ მიიჩნიეს. კერძოდ, კილაურიძე აცხადებს, რომ დამატებითი თანხების გადახდის გარეშე, რომელიც თითოეულმა დაზარალებულმა მენაშენემ უნდა გადაიხადოს, მშენებლობას ვერ დაასრულებენ, ეს კი აქციის მონაწილეებში დიდ უკმაყოფილებას და პროტესტს იწვევს.



**„შუალედური შედეგების მიხედვით, „დექსუსმა“ „ცენტრ პოინტის“ მიერ შეჩერებული 13 ობიექტის მშენებლობა უკვე დაასრულა და 23 კორპუსზე მშნებლობა განაახლა, ჯამში კი 200 000 კვ/მ ფართობის მშენებლობა დასრულდა, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ „ცენტრ პოინტის“ რეაბილიტაცია საკმაოდ წარმატებული პროექტია.**

აქციის მონაწილეთა მოთხოვნა, რომ „დექსუსმა“ და „ცენტრ პოინტმა“ სასწრაფო წესით შეწყვიტონ ხელშეკრულებები იმ ამხანაგობებსა და შპს-ებთან, რომელთანაც გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები მომხმარებლებს, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. ხელშეკრულება გაფორმებულია „დექსუსსა“ და „ცენტრ პოინტის“ მფლობელებს – ყოფილ მმართველებს შორის და სამართლებრივად, ამ ხელშეკრულებების გაწყვეტა მხოლოდ ამ ორი სუბიექტის ერთობლივი პრეროგატივაა. აღნიშნული მოთხოვნით პირდაპირ ირღვევა სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი ფუნდამენტალური დებულება – მხარეთა ავტონომიურობის პრინციპი.

ასევე მათი მოთხოვნა, რომ მომხმარებელთა მონიტორინგის ჯგუფს გადაეცეს უფლებამოსილება არსებული მდგომარეობის სამართლებრივი დასკვნებისა და ფინანსური შეფასების წარმოდგენისა, სამართლებრივად გაუმართლებელია და დაკავშირებულია მთელ რიგ საკანონმდებლო შეზღუდვასთან.

**აქციის მონაწილეთა ვერც ერთი მოთხოვნა, სამართლებრივ ჩარჩოებში ვერ ჯდება,** – აღნიშნულია კომპანია „დექსუსის“ განცხადებაში, რომელიც აქციის მიმდინარეობის ფონზე გავრცელდა.

სხვათა შორის, ამ ორ ერთმანეთზე გადაჯაჭვულ კომპანიას პრობლემები მარტო თბილისში არა აქვს. მათ წინააღმდეგ აქტიურად ილაშქრებენ რეგიონებშიც. მაგალითად, ბათუმში, ბაგრატიონისა და ხიმშიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე მშენებარე საცხოვრებელ კორპუსში 65 ოჯახი ბინებს ითხოვს. როგორც ერთ-ერთი დაზარალებული მირანდა ნატანიძე ამბობს, სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტს“ ბინების მშენებლობა 2009 წელს უნდა დაესრულებინა, მაგრამ ბინის მესაკუთრეებს საკუთრება უკანონოდ წაართვეს.

**„ცენტრ პოინტმა“ მშენებლობის გაგრძელების ნებართვა „დექსუს დეველოპმენტს“ გადასცა, ამ უკანასკნელმა კი – ბათუმის მერიას. დაზარალებულების თქმით, ბათუმის მერიამ მათი ბინები უკანონოდ გაასხვისა.**

**„მერიამ ბინები წაგვართვა, ლევან ვარშალომიძეს დახმარება ვთხოვეთ, მან გადაგვამისამართა ფინანსთა სამინისტროსთან. ფინანსთა სამინისტრო დახმარებას შეგვპირდა , მაგრამ მოგვატყუა, არ დაგვეხმარა. ბათუმის მერიაც გვატყუებს, ვითომ გვეხმარება, მაგრამ, პირიქით, ბინები წაგვართვა.**

**აფხაზეთიდან დევნილი ვარ. აფხაზებმა სახლი წამართვეს, ბათუმში ბინა ვიყიდე და მერიამ წამართვა. სადაა სამართალი, ვინაა უკეთესი – ბათუმის მერია თუ აფხაზები? მათ შორის ვერანაირ სხვაობას ვერ ვხედავ“,** – აცხადებს აფხაზეთიდან დევნილი დალი ნაჭყებია.

**ეკა ბაქრაძე**

◎ ჯალათი ექიმები



# ციხეებში პატიმრების წამება გრძელდება

**უფლებადამცველი, „ასავალ-დასავალის“ ცხელი ხაზის რუბრიკის წამყვანი, ყოფილი პოლიტპატიმარი ზაზა დავითაია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ გლდანის ციხეში გავრცელებული სასტიკი კადრების შემდეგ თანამდებობებზე კვლავაც რჩებიან ჯალათი ექიმები, რომელთაც არანაკლები დანაშაული ჩაუდენიათ პატიმრების წამებაში.**

**— გამოდის, რომ ციხის ბადრაგთან ერთად პატიმრებს ექიმებიც აწამებდნენ?**

— რა თქმა უნდა. ასე მაგალითად, რუსთავის №16 დაწესებულების პატიმრები ჩემთან პირად საუბარში ამხელენ ჯალათ თეთრხალათიან ექიმს, ვინმე ბადრი თეზელაშვილს, რომელიც სასტიკი და ანტიჰუმანური მოპყრობით გამოირჩეოდა პატიმრების მიმართ, მათ ცინიკურად ექცეოდა, არ მკურნალობდა. როგორც პატიმრები აცხადებენ, იგი კეტავდა „ბალნიჩკას“ და, რიგ შემთხვევაში, ფიზიკურადაც უსწორდებოდა, არ აძლევდა სამკურნალო პრეპარატებს და ჰიპოკრატეს ფიცს ღალატობდა. ასევე, პატიმრები ამხელენ სასჯელაღსრულების სისტემის ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს დავით ასათიანს, რომელსაც პირდაპირ უწოდებენ თეთრხალათიან ჯალათს. ასათიანი განსაკუთრებული სისასტიკითა და გულგრილობით გამოირჩევა, მან დანერგა ანტიჰუმანური პრეცედენტი. კერძოდ, მსჯავრდებულ მანდილოსნებს მუცელი წამოტკივდებათ თუ არა, მათ საოპერაციო მაგიდისკენ მიაქანებენ და ქალურ ორგანოებს აჭრიან, ანუ, დედობის უფლებას სამუდამოდართმევენ. არადა, დიაგნოზის დასმა და მათი მკურნალობა ადვილი საქმეა. რა თქმა უნდა, დავით ასათიანისთვის ბევრად უფრო ადვილია, ამპუტაცია გაუკეთოს ამ ორგანოებს, ვიდრე მათ მკურნალობას დაახარჯოს თანხები. სხვათა შორის, ის თანხები, რომლებიც პატიმრების მკურნალობისთვისაა გამოყოფილი, საკმაოდ საეჭვო ვითარებაში იხარჯება. ამის გამოც პატიმრები დავით ასათიანს კორუფციაში მონაწილე ჩინოვნიკს უწოდებენ. მის მიმართ არსებობს სხვა ბრალდებაც, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფი პატიმრებისთვის გამოყოფილ მედიკამენტებს არ ახმარს პატიმრებს და მათ აიძულებს, ოჯახებმა მიუტანონ წამლები. ხოლო ის წამალი, რომლის შესყიდვასაც დავით ასათიანი სახელმწიფო სახსრებით ახდენს, მოგვიანებით უკვე მასთან ხელშეკრულებაში მყოფი აფთიაქების დახლებზე ხვდება. გარკვეული თვალსაზრისით, ეს კორუფციის წყაროა. თუ ვის ჯიბეში მიედინება სახელმწიფოს მიერ პატიმრებისთვის გამოყოფილი წამლების შედეგად ალებული თანხა, პატიმრების თქმით, ეს საგამოძიებო ორგანოების საქმეა.

**— გახმაურებული კადრების შემდეგ ე.წ. ექიმების საქმე დღემდე გრძელდება?**

— დიახ, ჩვენ შევესწარით მთელი რიგი ჯალათი თანამშრომლების გათავისუფლებას, თუმცა მათ შორის თითქმის არ ყოფილან ჯალათი ექიმები. არადა, ეს ადამიანები ჯალათობით გამოირჩევიან თითქმის ყველა ამ დაწესებულებაში. ქსნის №15 ტუზდაწესებულების მსჯავრდებულები ჩემთან საუბარში ამხელენ ჯალათ ექიმს ოთარ ტრაპაიძეს, რომელიც, ასევე, ცინიკური მოპყრობით გამოირჩევა, ატყუებს პატიმრებს და ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ზემოქმედებით ავიწროებს, ემუქრება მათ და აშანტაჟებს.

**— ავადსახსენებელი ცოცხების გამოყენება ციხეებში, ისევ ხომ არ ხდება?**

— პატიმრების ცემის შესახებ ბოლო დღეებშიც რამდენიმე ინფორმაცია შემომივიდა. მართალია, მასობრივად მათი ცემა არ ხდება, მაგრამ, ფიზიკური ზემოქმედება კვლავაც გრძელდება. რაც შეეხება ცოცხებს, არც დასავლეთს და არც ქართულ საზოგადოებას, ვიდრე კადრებს არ დაუტრიალებენ თვალწინ, მანამდე არ სჯერათ ხოლმე, მაგრამ ეს ინფორმაცია რეალურია. ძალოვან ორგანოებს არაფერი გაუკეთებიათ, როდესაც მე მალხაზ არქანიას გაუპატიურების შესახებ ვწერდი, როდესაც სერგო თეთრაძეზე განხორციელებული ძალადობისა და ტანჯვით სიკვდილზე ვწერდი. ისინი სხვადასხვა პატიმრის მიმართ გაუპატიურების უამრავი მუქარის შესახებაც არ რეაგირებდნენ. პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და საპარლამენტო ადამიანის უფლებათა კომიტეტის წარმომადგენლები (ბატონ დიმიტრი ლორთქიფანიძის გარდა, რომელიც ამ კომიტეტში ერთადერთი გულისხმიერი ადამიანი აღმოჩნდა) საოცარი ცინიკური ღიმილით ხვდებოდნენ ხოლმე მსგავს ინფორმაციებს და დასავლურ მედიასაშუალებებს ცინიკურად არწმუნებდნენ, თითქოს მათ დემოკრატიული ციხე აქვთ.

**— ციხეებში ცემა-ტყეპის გაგრძელება და პატიმრებზე რევანშისტული სურვილი იმითაც ხომ არ აიხსნება, რომ პატიმრებმა „ქართულ ოცნებას“ მისცეს ხმა?**

— ეს ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ არ გამოვრიცხავ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ სისტემაში სულ 3 ათასამდე პატიმარს ჰქონდა ხმის მიცემის უფლება. თუმცა, მათ დიდ ნაწილს ეს უფლება ჩამოართვეს, რადგან იცოდნენ, რომ ისინი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები იყვნენ. ამიტომ ტექნიკურ საშუალებას მიმართეს, რომ მათ არჩევნებში ხმა არ მიეცათ. კერძოდ, ამ ადამიანების პირადობის მოწმობები ვადაგასული აღმოჩნდა. ამ დროს კი სოციალური სამსახურის თანამშრომლები ვალდებულნი იყვნენ ინფორმაცია არჩევნების დღისთვის გადაემოწმებინათ და ზომები მიეღოთ, რომ ყველა პატიმარს ხმის მიცემის უფლება ჰქონოდა. პატიმრები არ გამორიცხავენ, რომ, ვისაც ვადაგასული მოწმობა აღმოაჩნდა, პარალელურად დამზადდა იმავე ნომრის მოწმობები და მათი ხმები ფარულად გამოიყენეს „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ.

**— როგორ გგონიათ, რამდენიმე კვირით დანიშნული გიორგი ტუღუში არ ფლობს ინფორმაციას, თუ ვინ არიან სისტემაში დარჩენილი ჯალათები?**

— არამცთუ ყურადღებას არ აქცევს, ამ ადამიანებს მფარველობს კიდეც. იგი მტკივნეულად ეხმაურება, როდესაც პრესაში სიტყვა იძვრება იმასთან დაკავშირებით, რომ მის გარშემო ჯალათი ჩინოვნიკები არიან. მაგალითად, ჩემს მიმართ მას ძალიან მტკივნეული რეაგირება ჰქონდა და საგამოძიებო ორგანოებსაც მოსთხოვა ჩემს წინააღმდეგ საქმის აღძვრა, ნაცვლად იმისა, რომ ჩემს მიერ მხილებული ჯალათი თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნასა და მათ პასუხისგებაში მიცემაზე ეზრუნა. ტუღუში მათ გადაეფარა და ამით დაამტკიცა, რომ ჯალათების მფარველია. უფრო მეტიც, სახალხო დამცველის პოსტზე ყოფნის დროსაც კი ტუღუში რამდენჯერმეა შემჩნეული ასეთი ჯალათების მფარველობასა და მათთვის „ნამუსის“ შენახვაში. ძალიან ბევრი ინფორმაცია, რომელიც გიორგი ტუღუშამდე პატიმრების მხრიდან რის ვაი-ვაგლახით მიდიოდა, ტუღუშის სახალხო დამცველის ინსტიტუტში იბლოკებოდა და ადრესატამდე ვერ აღწევდა. რატომღაც მათი კვალი ტუღუშის უწყებაში დანაშაულებრივად წყდებოდა.

**მანანა ნოზაძე**

◎ ერიჰა!

# სტრიპ-კლუბში ვიზიტები... თბილისის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა

სააგენტო „პირველის“ ინფორმაციით, სააკაშვილის ხელისუფლების გავლენიანი პირების სტრიპ-კლუბებში ვიზიტები ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდიდან ფინანსდებოდა.

ამის შესახებ „პირველმა“ ინფორმირებული წყაროსგან შეიტყო. კომპეტენტური პირის მიერ მოწოდებული ფინანსური დოკუმენტების მიხედვით ცხადი ხდება, რომ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი სტრიპ-კლუბ „დივაში“ რამდენიმე ადამიანის სტუმრობის ხარჯებს ანაზღაურებდა. აღნიშნული ფონდი კი თბილისის ბიუჯეტიდან ფინანსდება.

რამდენად ინფორმირებულია დედაქალაქის მერი და იცის თუ არა გიგი უგულავამ, სად მიედინებოდა თბილისის ბიუჯეტის სახსრები, ძნელი სათქმელია, თუმცა, როგორც კულუარებში ამბობენ, უგულავას უწყებაში კორუფცია დიდი ხანია, ყვავის და ყველაზე მეტი სისხლის სამართლის საქმე სწორედ გიგი უგულავას უწყებაში დევს.

როგორც ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებიდან ირკვევა, 2010 წელს კლუბ „დივას“ მიერ გამოწერილი 2 ინვოისისა და 1 ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდიდან კლუბ „დივაში“ 5 129 ლარი ჩაირიცხა, რომლითაც ფონდმა აანაზღაურა რამდენიმე ადამიანის მიერ კლუბის მხრიდან გაწეული მომსახურება. აღსანიშნავია ის, რომ ეს თანხა მხოლოდ 5 დღეში დაიხარჯა და თუ ანგარიშფაქტურის დანართში მითითებული ბილეთების რაოდენობით ვიმსჯელებთ, კლუბს ძირითადად 2, ერთხელ კი 4 ადამიანი სტუმრობდა.



ჩვენთვის უცნობია, უშუალოდ ვინ სტუმრობდა სტრიპ-კლუბს, თუმცა, ანგარიშფაქტურის მიხედვით ჩანს, რომ მათ საკმაოდ ხელგაშლილად უსარგებლიათ კლუბის მომსახურებებით. მაგალითად, მხოლოდ 5 მაისს, 2 ვიზიტორის მიერ შეკვეთილია 800 ლარის ღირებულების „ასტი მარტინი“, 7 მაისს კი — 400 ლარის ღირებულების „ასტი მარტინი“ და 300 ლარის ღირებულების სიგარა.

ასევე, ყველა დოკუმენტში ცალკეა მითითებული მომსახურების ხარჯი, რაც „სტრიპტიზიორშას“ პრივატულ მომსახურებას გულისხმობს.

რამდენადაც აღნიშნული ინვოისები და ანგარიშ-ფაქტურა უშუალოდ ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის სახელზეა გამოწერილი, უნდა ვივარაუდოთ, რომ სტუმრები იმდენად გავლენიანი პირები იყვნენ, რომ თავს უფლება მისცეს, კლუბისთვის არა მარტო ფონდის რეკვიზიტები დაეტოვებინათ, არამედ იმაშიც დარწმუნებულები ყოფილიყვნენ, რომ მათი ღამის ვოიაჟები და ხარჯები ფონდიდან უპრობლემოდ ანაზღაურდებოდა.

ინფორმირებული წყარო აცხადებს, რომ ასეთი უამრავი დოკუმენტი დევს სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაციაში, რომლითაც სამართალდამცველი უწყებები აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ, — დასძენს „პირველი“.



LTD "CLUB DIVA"

შპს "კლუბი დივა"

ინვოისი №001

თარიღი: 27.04.2010

მიმღების რეკვიზიტები:

შპს "კლუბი დივა" - 202 573 130

სს "ლიბერთი ბანკი" დიდუბის ფილიალი –220101488

სალარე ანგარიში –3608234957

| გადამხდელი | მომსახურების აღწერა | ღირებულება (ლარი) |
| --- | --- | --- |
| ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი | მომსახურება | 142.65 |
| ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი | საქონელი | 351.00 |
| | სულ | 493.65 |

შემსრულებელი

დამკვეთი

## მეგობარ ქვეყანაში

**„მსოფლიო გლობალურია, ამიტომ G -GLOBAL-ის იდეა — საუცხოოა. G-8 არ იყო საკმარისი, G-20 კარგი იდეაა, G -GLOBAL კი — ეს არის ის, რაც დღეს ჩვენ გვჭირდება. ჩვენ ერთგვარი ძალა გვჭირდება. ეს ახალი დროის ტენდენციაა“.**

**ასე შეაფასა ევროკომისიის ყოფილმა პრეზიდენტმა, იტალიის ექსპრემიერ-მინისტრმა რომანო პროდიმ ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის ინიციატივა, რომელმაც 2011 წლის ბოლოს გამოაცხადა საერთაშორისო დიალოგისა და ინტერაქტიური დისკუსიების ახალი ფორმატის — G-GLOBAL-ის ჩამოყალიბების შესახებ.**

# ყაზახეთი: გარღვევის ინიციატივა

## G-GLOBAL-ი გამოდის, როგორც მსოფლიოს პოტენციური გამაერთიანებელი იდეა




რა არის ეს G-GLOBAL-ი? არსებითად, ეს არის მსოფლიოს ახალი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების გზების ინტენსიური ქსელური ძიება. ინიციატივა აპრობირებული იყო მიმდინარე წლის გაზაფხულზე ასტანის მეხუთე ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში. მან პოლიტიკური, საექსპერტო და საქმიანი წრეების, მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო მხარდაჭერა მოიპოვა. სულ რამდენიმე თვეში 40-ჯერ გაიზარდა ყოველდღიური მოსვლა ასტანის ფორუმის ოფიციალურ გვერდზე შექმნილ კომუნიკაციურ ინტერნეტ-მოედანზე G-GLOBAL. 30 ათასზე მეტი მომხმარებელი 140 ქვეყნიდან გახდა მისი მუდმივი მონაწილე.

ამ მიზნებისთვის ასტანის ფორუმი შემთხვევით როდი შეარჩიეს. საყოველთაო აზრით, შინაარსობრივი დამოკიდებულებით, არსებითად ის ხდება გლობალური განვითარების ვრცელი „ევრაზიული თვალსაზრისის“ რეტრანსლატორი, ხსნის ახალ ფურცლებს გლობალური ეკონომიკის თანამედროვე მსოფლგაგებაში, მისი რეფორმირების იდეების წინწაწევაში. ფორუმის დღის წესრიგში, კერძოდ, შეტანილი იყო მნიშვნელოვანი საკითხი მსოფლიოს ეკონომიკური ტრანსფორმაციის გზების შესახებ.

რით იყო ნაკარნახევი G-GLOBAL-ის შექმნის გადაწყვეტილება? ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი რამდენიმე მიზეზის შესახებ საუბრობს. კერძოდ, ის შეგვახსენებს, რომ მსოფლიო სავალუტო-ეკონომიკური კრიზისი გადაიზარდა მსოფლიო სოციალურ კრიზისში, რომელმაც ბევრი განვითარებული ქვეყანა მოიცვა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აკეთებს დასკვნას გლობალური უმუშევრობის საფრთხის შესახებ. მთლიანად კი მსოფლიოში შრომისუნარიანი ასაკის ყოველ მესამე მუშაკს, ანუ 1 მილიარდ 100 მილიონ კაცს, საერთოდ არ აქვს სამუშაო, ან მთელ თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს 2 დოლარზე დღეში.

ცალკეული ეროვნული ეკონომიკების გადასარჩენად, ბალანსის შესანარჩუნებლად მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი გამოყოფენ სოლიდურ სახსრებს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ ამით შემოიფარგლება იმ ზომების პოზიტივი, რომლებსაც ღებულობენ G-8 და G-20 ფორმატებში. მაგრამ ყოველ ახალ მილიარდ დოლარს შეუძლია წარმოქმნას მილიარდი ახალი სოციალური პრობლემა.

გლობალური ანტიკრიზისული ზომების ნახევრულობა — ეს სისტემური კრიზისის სხვა სახეობის — საერთაშორისო ურთიერთობათა კოროზიის — აშკარა დამოწმებაა, ხაზგასმით აღნიშნავს ყაზახეთის პრეზიდენტი. ჯგუფ G-20-ის შექმნამ არსებითად გააფართოვა დიალოგის დიაპაზონი მსოფლიო ეკონომიკის რეფორმის შესახებ. მაგრამ ამჟამად, ანტიკრიზისული „ოცეულის“ პირველი სამიტიდან 4 წლის შემდეგ, ასეთი ფორმატი უკვე არასაკმარისად წარმოგვიჩნდება.

ყოველივე ამან წარმოქმნა მსოფლიოს ახალი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების ინტენსიური ქსელური ძიების გზების მოედნის შექმნის აუცილებლობა. სიმბოლურია, რომ ინტერაქტიური დისკუსიების თემატიკა G-GLOBAL-ის მოედანზე ელვისებურად გადადის მსოფლიო ეკონომიკისა და სავალუტო-საფინანსო სისტემის რეფორმირების საკითხებზე. განიხილება ინოვაციური განვითარების, ბირთვული და ეკოლოგიური უსაფრთხოების, ეთნოსთაშორისი და რელიგიათშორისი ტოლერანტობის, გეოპოლიტიკისა და სხვა ასპექტების ვრცელი პრობლემატიკა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ G-GLOBAL-ი გამოდის, როგორც მრავალპოლარული სამყაროს გამაერთიანებელი პოტენციური იდეა. პრაქტიკულად ყოველ ინტერაქტიურ გზავნილში აშკარად „გამოსჭვივის“ XXI საუკუნეში სტაბილური და სამართლიანი მსოფლიო მოწყობის იმედი.

რა დასკვნები შეიძლება გავაკეთოთ ყველა შემოსული წინადადებიდან? G-GLOBAL-ის ინიციატორი და არქიტექტორი ნურსულთან ნაზარბაევი ასახელებს ზოგიერთ მათგანს. ჯერ ერთი, მსოფლიო გაერთიანება იმყოფება გლობალური ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე არაერთმნიშვნელოვან და რთულ ეტაპზე. უწინ კაცობრიობას არასოდეს ჰქონია ასეთი უზარმაზარი პოტენციალი როგორც წარმატებული განვითარებისთვის, ისე თვითგანადგურებისთვის. ამის შემეცნება აქტუალურს ხდის საერთომსოფლიო პრობლემების გადაწყვეტას მხოლოდ კომპლექსურ საფუძველზე. დღეს უკვე საკმარისი აღარაა მხოლოდ ეკონომიკის ან „კლიმატის დათბობის“ პრობლემების გადაჭრა. ამავე დროს, არ შეიძლება ყურადღება არ მივაპყროთ ბირთვულ საფრთხეს, მზჟუტავ კონფლიქტებს, არასაკმარის ტოლერანტობას ან გადახრებს სოციალურ პოლიტიკაში, რომლებსაც მასშტაბურ კმაყოფილებაზე ყოფნასთან მივყავართ როგორც სოციალური ჯგუფების, ისე ცალკეული სახელმწიფოების დონეზე.




მეორეც, ადრე არასოდეს ყოფილა გლობალური კომუნიკაციების განვითარების ასეთი დონე. დღეს, და მით უმეტეს, მომავალში, მათ შეუძლიათ შეამცირონ მანძილი, „შეკუმშონ“ დრო, დაძლიონ ისტორიული, პოლიტიკური და ბევრი სხვა ბარიერი.

მესამე, დღეს მსოფლიო სწავლობს ახალ პრობლემებში ცხოვრებას. დღეს მნიშვნელობა აქვს იცოდე და აქტიურად გადმოიღო ბევრი სახელმწიფოს განვითარების წარმატებული გამოცდილება. ამ თვალსაზრისით, ყაზახეთი მზადაა ასეთი ურთიერთმოქმედებისთვის. მზად არის ისწავლოს თავადაც და გაუზიაროს თავისი გამოცდილებაც თავის მეგობრებს.

ამავ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, დაინახო მთელს მსოფლიოში მილიარდობით ადამიანის მისწრაფება სამართლიანობისკენ, ამბობს ნურსულთან ნაზარბაევი. სამართლიანობა XXI საუკუნეში — ეს მხოლოდ მორალის კატეგორია როდია. ეს წარმატებული ეროვნული და გლობალური განვითარების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაცაა.

მთლიანად, G-GLOBAL-ის იდეამ სულ რაღაც ნახევარ წელიწადში აჩვენა არაჩვეულებრივი მოთხოვნილება მისდამი. მასში დაინახეს შესაძლებლობა — მონახო პასუხი სისტემურ კრიზისზე, რომელმაც დააზიანა გლობალური ეკონომიკა, მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთობათა მორალურ-ზნეობრივი საფუძვლები. G-GLOBAL-ი ითვალისწინებს გეოპოლიტიკასა და გეოეკონომიკაში არასახელმწიფო სუბიექტების — საერთაშორისო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების, კერძო სტრუქტურების, ტრანსეროვნული კომპანიების, მსოფლიო სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსებისა და მოქალაქეების გავლენის გაზრდილ დონეს. G-GLOBAL-ი, როგორც ინფორმაციული ეპოქის ცივილიზებული იდეა, ორიენტირებულია ყველა ქვეყანაზე, ინტერნეტსივრცის ყველა ზონაზე, მსოფლიო ქსელის მილიონობით მომხმარებელზე, მსოფლიოს რეფორმით დაინტერესებულებზე და მსოფლიოს სამართლიან და უსაფრთხო წესრიგზე.

სხვათა შორის, ყაზახეთში ქვეყნის მოსახლეობის ორ მესამედზე მეტმა (87,3 პროცენტიძ სახელმწიფოს მეთაურის G-GLOBAL-ის იდეას მსოფლიოსთვის ანტიკრიზისულ ვითარებათა დროული და ყველაზე ეფექტიანი გადაწყვეტილება უწოდა. შედეგებმა ექსპრესგამოკითხვისა, რომელიც ასტანის მეხუთე ეკონომიკური ფორუმის მიხედვით სამეცნიერო-კვლევითმა ასოციაციამ „დემოკრატიის ინსტიტუტმა“ მოაწყო, აჩვენეს ყაზახელთა მაღალი დაინტერესებულება ინტერაქტიურ დისკუსიაში მსოფლიოს ახალი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების გზების ძიების საქმეში. გამოკითხულთა 85 პროცენტს მიაჩნია, რომ შესაძლებლობა საყოველთაოდ ვეძებოთ არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემათა გადაჭრის გზები — ეს არის გლობალური დიალოგის ახალი, ყველაზე აქტუალური და მისაღები ფორმატი.

ნურსულთან ნაზარბაევის მსოფლიოს ურთიერთობათა „G-GLOBAL- დიდი მსოფლიოს“ ახალი ეფექტიანი მოდელის იდეამ, რომლის დროსაც განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებსაც აქვთ თანაბარი უფლებები, ხოლო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვაში მონაწილეობას ღებულობენ არა მხოლოდ პოლიტიკოსები და ეკონომისტები, არამედ ადამიანური საქმიანობის სხვადასხვა დარგის ექსპერტთა ფართო წრეც, უკვე მიიღო მხარდაჭერა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ, საექსპერტო და საქმიან წრეებში.

ხალხი ვირტუალურ სივრცეში ერთობლივად ეძებს აქტუალური პრობლემების გადაჭრას. არსებითად, საკითხი შეეხება „კოლექტიურ გონს“.

მისი უპირატესობა არის ის, რომ „იდეების ბაზარი“ ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდება. მაგრამ მთავარი მიზანი — ეს არის ის, რომ პროექტი G-GLOBAL-ი ვირტუალური ქსელიდან გამოვიყვანოთ რეალურ სივრცეში. როგორც ნურსულთან ნაზარბაევმა აღნიშნა, ადამიანური ცივილიზაციის განვითარების კონსტრუქტივიზმი შეიძლება ურუნველყოფილი იქნეს ხუთი პრინციპის საფუძველზე, რომლებსაც G-GLOBAL-ის პრინციპები შეიძლება ვუწოდოთ: ესენია — „ევოლუცია და არა რევოლუცია“, „სამართლიანობა, თანასწორობა, კონსენსუსი“, „გლობალური ტოლერანტობა და ნდობა“, „გლობალური ტრანსპარენტობა“, „კონსტრუქტიული მრავალპოლარულობა“.

G-GLOBAL-ი, მიაჩნიათ ექსპერტებს, მოგვაგონებს პატარა „რევოლუციონერს“ გლობალურ ქსელში, რომელიც შეჯიბრებაში იწვევს ანალიტიკურ კორპორაციებს. და დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ინტერნაციონალური პროექტი სულ მუდამ ვითარდებოდეს და აფართოებდეს გავლენას გლობალურ ქსელში.

**სერგო ქათამაძე**

## დედამიწის ზურგზე



**ბი-ბი-სის ჟურნალისტებმა სირიელ ბოევიკებთან აღმოაჩინეს უკრაინული იარაღი ფირმის ყუთებში**

**საიდან გაჩნდა ლუგანსკის სავაზნე ქარხნის ყუთები, რომლებიც გათვალისწინებული იყო საუდის არაბეთისთვის, სირიის ბოევიკების ბაზაზე, უცნობია. სამეფო ჟურნალისტების ნანახს კომენტარს არ უკეთებს. სამაგიეროდ, უკრაინელები აცხადებენ, რომ ლუგანსკის ქარხანა ექსპორტს არ აწარმოებს.**

* * *

**ერაყისა და ავღანეთის ვეტერანთა ცოლებმა ტანთ გაიხადეს, რათა დაეხმარონ თავიანთ ქმრებს, გადაიტანონ პოსტტრავმული დეპრესია**



**ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას არ უთმობს იმ სამხედრო მოსამსახურეების რეაბილიტაციის პრობლემას, რომლებიც ცხელ წერტილებში მსახურობენ. ამაში საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა ყოფილი ქვეითი ჯარისკაცის 29 წლის მეუღლე. მისი ქმარი დეპრესიით იტანჯება. პრობლემისთვის ყურადღება რომ მიექცია, ქალმა გამოიყენა ტრადიციული საშუალება და, როგორც აღმოჩნდა, სავსებით ქმედითი.**

* * *

**რომნიმ შეახსენა ობამას მისი შეცდომა ცნობაში „ვლადიმერისთვის“ და დაგვპირდა: დათმობები რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან დაკავშირებით არ იქნება**



**„არჩევნების შემდეგ მზად ვიქნები დიდი მოქნილობისთვის“, — ეუბნებოდა ბარაკ ობამა დიმიტრი მედვედევს წლის დასაწყისში. „არანაირი მოქნილობა!“ — დაიმუქრა რესპუბლიკელი კანდიდატი, თან იგი დაგვპირდა, რომ ააშენებს 15 სამხედრო ხომალდს წელიწადში და გადაკვრით მიანიშნა ახლო აღმოსავლეთში სამხედრო ყოფნის შენარჩუნების შესახებ, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში.**

* * *

**ამერიკელმა მოიგო კონკურსი ტარაკნების შეჭმაში და უცნაურად გარდაიცვალა**

**რამდენიმე ათეული მწერის შეჭმის შემდეგ ფლორიდის 32 წლის მცხოვრებმა მოიგო პითონი თავისი მეგობრისთვის, მაგრამ მან პრიზის წაღებაც ვერ მოასწრო. მამაკაცი უეცრად ცუდად გახდა, მისი გადარჩენა ვერ შეძლეს ადგილზე მოსულმა ექიმებმა. გარდაცვალების მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ მეცნიერები ამტკიცებენ, რომ საქმე სულაც არ შეეხება ტარაკნებს.**



**გამოძახილი**

# „ცნობილი ამაზრზენი გაზეთი..."

**ასე უწოდა გაზეთ „ასავალ-დასავალს" ფილოლოგმა-გერმანისტმა ლაშა ბაქრაძემ „მაესტროს" გადაცემა „არგუმენტებში" 5 ოქტომბერს.**

ამ ინტელექტუალის ამგვარ შეფასებას არ გამოვეხმაურებოდი, რომ არა გადაცემაში მონაწილე პირების, აბსოლუტურად ყველასი: ჟურნალისტების – თეა სიჭინავას, ია ანთაძის, ირაკლი ტაბლიაშვილის, ირაკლი კორძაიას, „სამართლიანი არჩევნების" თავმჯდომარის – ეკა სირაძის, უფლებადამცველის დაჩი ცაგურიას და მთელი დამსწრე აუდიტორიის პარადოქსული რეაქცია, ანუ მათი სრული წაყრუება-დამუნჯება ბაქრაძის ყოვლად უადგილო და გაზეთის ყოველი მკითხველის შეურაცხმყოფელ სიტყვებზე, თითქოს, მათ არც კი გაეგონოთ ბაქრაძის მიერ ორჯერ გამეორებული „ამაზრზენი" – ერთხელ გაზეთის „საქციელის" შესაფასებლად (გულისხმობდა გლდანის მე-8 საპყრობილის თანამშრომელთა სიის გამოქვეყნებას „ასავალ-დასავალის" 2 ოქტომბრის ნომერში) და, მეორედ, მთლიანად გაზეთის დასახასიათებლად.

ვფიქრობ, წამყვანის – თეა სიჭინავას მხრიდან მაინც უნდა ეხილა ტელემაყურებელს რეაგირება. ასეთ შემთხვევებში წამყვანის ვალია, დაიცვას თავდასხმის ობიექტი, რომელიც სტუდიაში არ იმყოფება და ამიტომ პასუხის გაცემის საშუალება არა აქვს, ან მოწვეულ სტუმრებს (დამსწრე აუდიტორიას) ჰკითხოს აზრი – იზიარებენ თუ არა ისინი გამოთქმულ შეფასებას, ან თავად მან დასვას ადგილზე კრიტიკოსი უადგილო ჩართვის და უტაქტო გამოთქმისთვის.

რაც შეეხება თავად ბაქრაძეს. უცხო ენების ცოდნის და უმაღლესი განათლების გარეშეც, კაცმა(!) უბრალო რამ უნდა იცოდე – სხვისი ლანძღვა-გინების ჩართვა იქ, სადაც სულ სხვა თემაზეა საუბარი და, თან, როცა საკადრისი პასუხის მიღებისგანაც დაზღვეული ხარ, რბილად რომ ვთქვა, მოსაწონი არ არის, მისივე სიტყვებით კი – უბრალოდ ამაზრზენია! კიდევ უფრო ამაზრზენია ათეულობით ათასი მკითხველის გალანძღვა (ამაზრზენ გაზეთს, იგულისხმება, მკითხველიც შესაბამისი ჰყავს!). ბაქრაძემ იგივე გაიმეორა, რაც „მწერალმა" (ვაი, ქართულო მწერლობავ!) ბურჭულაძემ აკადრა „ასავალ-დასავალს" და მის მკითხველს, უწოდა რა მათ (ორივეს!) გონებაჩლუნგები (გადაცემა „პოლიტმეტრში" წინა დღეს).

ამ ორი ადამიანის იდენტური გამონათქვამები მაფიქრებინებს, რომ ისინი დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავიანთი მსოფლმხედველობით, ორივენი დიდის თავგამოდებით იცავდნენ და იცავენ ჰომოსექსუალისტებს, მართლმადიდებელი ეკლესიის შემრყვნელებს და ახლა კი – სადისტებს. არადა, პირიქით უნდა იყოს – ნორმალური ადამიანი უპირველესად(!) ნორმალური ადამიანის უფლებების დამცველი უნდა იყოს და არა – პედერასტ-სადისტების. მაგრამ ამას როგორ მიხვდება სულდამახინჯებული და ფსიქიკაშერყეული (მისივე ნათქვამ-ნაწერებიდან სხვა დასკვნის გამოტანა შეუძლებელია!), მიხეილ ჯავახიშვილობის მსურველი „მწერალი" ბურჭულაძე (აბა, გგონიათ ბლანჟეთი ტყუილად დაიმშვენა პირისახე?!).

ამის მიხვედრის გაჭირვება ციხის ჯალათების უსაფრთხოებაზე მზრუნველ ბაქრაძესაც აქვს, რადგანაც მან უბრალო ჭეშმარიტება არ იცის: მრავალჯერ ნაწამებ-გაუპატიურებული პატიმარი, თუკი შურისძიებას ჩაიდებს გულში, მწამებლის საცხოვრებელს გაზეთის დაუხმარებლადაც(!) მიაკვლევს. ამიტომ სიის გამოქვეყნებას უფრო მორალური ზემოქმედების ფუნქცია აკისრია, ვიდრე შურისმაძიებლისთვის ინფორმაციის მიწოდებისა – მეზობლებმა უნდა იცოდნენ საპყრობილის თანამშრომელი თუ ცხოვრობს მათ გვერდით, რადგანაც ბევრი მათგანი სწორედ იქ ჩადენილი საქმეების გამო არ ამხელს თავის სამუშაო ადგილს; აბა, მზარეულს, დამლაგებელს და წესიერ თანამშრომელს არაფერი აქვს დასამალი.

რაც შეეხება აუდიტორიას. სიმართლე გითხრათ, ყველაზე მეტად გამაოცა ახლახან პატიმრობიდან განთავისუფლებული დაჩი ცაგურიას დუმილმა. გამაოცა, რადგანაც მოველოდი, რომ ციხეში მრავალჯერ სასტიკად ნაცემი ახალგაზრდა კაცი ყველაზე პირველი და ყველაზე ხმამაღლა ამოიღებდა ხმას იმ გაზეთის დასაცავად, რომელიც თავისი ბეჭდური სიტყვით ისე იბრძვის ღირსებააყრილი პატიმრების დასაცავად, როგორც არავინ, არც ერთი სხვა გაზეთი. მინდა ახსნა მოვუძებნო ამ არასასიამოვნო ფაქტს და ჩემი თავი დავაჯერო იმაში, რომ იგი, ალბათ, გვიან შეუერთდა გადაცემას ან უბრალოდ გამოეპარა ბაქრაძის ნათქვამი.

„ასავალ-დასავალში" დაბეჭდილი ზოგიერთი წერილი ან გამოთქმული მოსაზრების ფორმა შეიძლება მეც არ მომწონდეს, ისევე როგორც, სხვა გაზეთებში გამოქვეყნებული, მაგრამ მათი და მათი მკითხველების შემკობა თუ დავაპირე მსგავსი ეპითეტებით (ჩლუნგი, ამაზრზენი და სხვ.), ეს ისევ მე „შემამკობს". ამდენი მაინც უნდა ესმოდეთ იმათ, ვინც ტელეეკრანებიდან სხვას ჭკუას არიგებს და მორალს უკითხავს.

ორიოდ სიტყვით გადაცემების წაყვანასაც მინდა შევეხო. „არგუმენტების" და „პოლიტმეტრის" წამყვანების მიმართ ჩემი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, რაც გამოწვეულია მათი პროფესიული მომზადებით და თავშეკავებით, ერთი რამ მაინც თვალშისაცემად ეშლებათ თითქმის ყველა გადაცემაში. ავიღოთ, თუნდაც, „ასავალ-დასავალისადმი" მიძღვნილი „პოლიტმეტრის" ნახსენები გადაცემა, როცა უცხოეთში (სავარაუდოდ ევროპაში) ნაცხოვრები (განათლებამიღებულიო, მიჭირს ამის თქმა), თანაც ფილოსოფოსი(!) ქ-ნი თათა ცოფურაშვილი ლაპარაკს არ აცლიდა არც ყოფილ პატიმარს, ჟურნალისტ ზაზა დავითაიას და არც ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილს, აქაოდა დებატების ფორმატში ვართო, დაიხვია რა ხელზე წამყვანის ნინო ჟიჟილაშვილის სიტყვები. რაც არ უნდა სიმართლეს ამბობდე კაცი, თუ მოსმენის კულტურა არ გაგაჩნია, ძალიან ბევრს კარგავ სხვის თვალში და შენი ნათქვამიც უფასურდება.

არა მგონია, ჟურნალისტებმა არ იცოდნენ, რომ დებატები უკულტურო კამათს, ანუ „პირში ჩაჩრას", აზრის გამოთქმის დასრულებაში ხელის შეშლას არ ნიშნავს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს, წამყვანები შეგნებულად უწყობენ ხელს გადაცემაში ტემპერატურის აწევას. თუ მე ვცდები, მაშინ რა უდგას წინ დებატების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას, ეს პრობლემა ხომ ძალზედ ადვილად მოსაგვარებელია – საკმარისია დებატებში მონაწილეებს დაუწესდეს დროის ერთნაირი ლიმიტი, არც არავის ეწყინება და აღარც სამ ხმაში (წამყვანის ჩათვლით) მოვისმენთ ისეთ „საუბრებს", როცა არც თავად ესმით ერთმანეთის და მაყურებელს კიდევ ხომ არ ესმის და არა...

**იაკობ ლეჟავა,**

6 ოქტომბერი, 2012

**P. S. ეჭვი არ მეპარება, „ასავალ-დასავალის" რედაქცია, მისთვის ჩვეულ სტილში გასცემს პასუხს ლაშა ბაქრაძეს, მე კი ჩემს მოქალაქეობრივ მოვალეობად ჩავთვალე გამოვხმაურებოდი მის უზრდელ გამოხდომას გაზეთის და მკითხველების მისამართით გაკეთებულს და, სამწუხაროდ, უპასუხოდ დატოვებულს პატივსაცემი ადამიანების მხრიდან.**

**ი. ლ.**

**ინფორმაცია**

## საქართველოსა და ევროკავშირს შორის საფინანსო შეთანხმება გაფორმდა

**საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2011 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ორი საფინანსო შეთანხმება გაფორმდა.**

**როგორც საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო სამინისტროს აპარატიდან იტყობინებიან, აღნიშნული უწყების მინისტრმა თორნიკე გორდაძემ საფინანსო შეთანხმებას ხელი მოაწერა.**

**სამინისტროს ინფორმაციით, საფინანსო შეთანხმებების ბიუჯეტი 23 მილიონ ევროს შეადგენს და ის გულისხმობს: 1. სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამას „იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიმღები თემის მხარდასაჭერად" – 19 მილიონი ევრო; 2. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროგრამას - 4 მილიონი ევრო.**

**ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ელჩი ფილიპ დიმიტროვი.**

**დოკუმენტებს ევროკომისიის სახელით, ბრიუსელში უკვე მოაწერა ხელი ევროკომისიის განვითარებისა და თანამშრომლობის დირექტორატის ხელმძღვანელმა მარკუს კორნარომ.**

## ივანიშვილს „ბურჯს" უბრუნებენ

**უკანონო შემოწირულობაში დადანაშაულებულ „ქართული ოცნების" წევრებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დაყადაღებული ან გაყიდული ქონება დაუბრუნდებათ. ამის შესახებ news.ge-ს აღსრულების ეროვნულ ბიუროში განუცხადეს. მათი თქმით, ქონების იმ ნაწილზე, რომელიც უკვე გაყიდულია, მოხდება ფულადი კომპენსაციის გაცემა.**




**აღსრულების ეროვნულ ბიუროში აცხადებენ, რომ თავდაპირველ მფლობელს დაუბრუნდება შპს „ბურჯიც". კერძოდ, ბათილად იქნება ცნობილი შპს „გამას" მიერ „ბურჯის" ქონების შესყიდვა და ქონება „ბურჯს" გადაეცემა. ამასთან, ქონების ნაწილი , რომელიც „გამამ" უკვე გაასხვისა, ანაზღაურდება ფულადი კომპენსაციით.**

**აღსრულების ბიუროს ინფორმაციით, აღნიშნული გადაწყვეტილება ბიუროს ხელმძღვანელმა იმის საფუძველზე მიიღო, რომ აღსრულების პროცედურებში დარღვევები აღმოჩნდა. ბიუროში არ აკონკრეტებენ, თუ რა დარღვევები აღმოაჩინეს კონკრეტულად.**

**აღსრულების ბიუროში აცხადებენ, რომ პროცედურები უკვე დაწყებულია.**

**შეგახსენებთ, რომ ელექტრონულ აუქციონზე „ბურჯის" უძრავ-მოძრავი ქონება 9 მილიონამდე ლარად გაიყიდა.**

**„ბურჯის" საკუთრებაში არსებულ ქონებაზე აუქციონი მას შემდეგ გამოცხადდა, რაც საქალაქო სასამართლომ „ქართული ოცნების" უსასყიდლო მომსახურებისათვის კომპანია „ბურჯი" 11 მილიონამდე ლარით დააჯარიმა. კომპანიამ ჯარიმა არ გადაიხადა, რის შემდეგაც მას ქონება დაუყადაღეს.**

## ამნისტიის კანონპროექტზე მუშაობა დაიწყო

**„ქართულ ოცნებაში" ამნისტიის კანონპროექტზე მუშაობა უკვე დაიწყეს. ამის შესახებ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრობის კანდიდატმა სოზარ სუბარმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა.**

**მისივე თქმით, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიაში საზოგადოების ჩართულობა უფრო გაიზრდება, გაძლიერდება და ბევრად უფრო ეფექტური გახდება.**

**– საქართველო პატიმრების რაოდენობით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ზოგადად მახინჯი სისტემა უნდა შეიცვალოს და ამაში პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებამ და პირობითმა სასჯელებმა თავისი როლი უნდა შეასრულონ, – აღნიშნა სუბარმა.**

## დევი ჭანკოტაძე გიორგი კალანდაძემ შეცვალა

**საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ შტაბს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილის განკარგულების თანახმად, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის თანამდებობაზე გიორგი კალანდაძე დაინიშნა.**



**ბრიგადის გენერალი გიორგი კალანდაძე დღემდე შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე იყო. მანამდე კი, საქართველოს სახმელეთო ჯარების სარდლის მოვალეობის შემსრულებელი. სწავლობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსში და გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში. გიორგი კალანდაძემ ამ თანამდებობაზე დევი ჭანკოტაძე შეცვალა.**

## „ქართული ოცნება" გაერთიანებული შტაბის უფროსად ვახტანგ კაპანაძის კანდიდატურას განიხილავს



**ვახტანგ კაპანაძის კანდიდატურა, რომელიც თავდაცვის მინისტრობის კანდიდატ ირაკლი ალასანიას სახელით გუშინ უწყებაში იმყოფებოდა, კოალიცია „ქართულ ოცნებაში" შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსის პოსტზე განიხილება.**

**კაპანაძე, როგორც ალასანიას წარმომადგენელი, თავდაცვის სამინისტროს დეპარტამენტის ხელმძღვანელებს შეხვდა.**

**ვახტანგ კაპანაძე აფხაზეთის ომის მონაწილეა, სხვადასხვა დროს კი ის ბრიგადის მეთაური და გენერალური შტაბის უფროსი იყო. ამჟამად საგარეო დაზვერვაში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე მუშაობს. ვახტანგ კაპანაძეს სამხედრო განათლება აშშ-ში აქვს მიღებული. ის ასევე არის საქართველოს სამხედრო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.**

ინტერპრესი

ჩემპიონთა ლიგა

# წავაგეთ, მაგრამ...

**წყალბურთელ ვაჟთა წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში 21 გუნდი მონაწილეობს. მათ შორისაა საქართველოს ეროვნული პირველობების სამგზის გამარჯვებული „ლიგამუსი-თბილისი“, რომელმაც „ოლიმპიკის“ აუზში საკვა-**



**ლიფიკაციო ეტაპი მოიგო და A ჯგუფში მერვედფინალის ოთხი საგზურისთვის საბერძნეთის „ვულიაგმენს“, ვოლგოგრადის (რუსეთი) „სპარტაკს“, ჰოლანდიის „შუურმანს“, ჰანოვერის (გერმანია) „ვასპო-98“-ს და უნგრეთის „ეგერს“ უწევს მეტოქეობას. პირველი შეხვედრა, როგორც გაუწყეთ, „ლიგამუსს“ „ეგერთან“ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ვიზების პრობლემების გამო ჩვენები მადიარებს ვერ ეწვივნენ, თუმცა მეორე ტურის მატჩი მაინც სტუმრად გამართეს „შუურმანთან“.** მართალია, პირველი პერიოდი ქართველმა წყალბურთელებმა 3:2 მოიგეს, მაგრამ საბოლოოდ პაექრობა მაინც დათმეს – 10:13. ამავე ჯგუფში დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ჰანოვერი“ – „ვულიაგმენი“ – 4:18, „სპარტაკი“ – „ეგერი“ 10:7.

**ორი ტურის შემდეგ:** „ვულიაგმენი“ – 6, „შუურმანი“ – 6, „სპარტაკი“ –3, „ლიგამუსი“, „ეგერი“ და „ჰანოვერი“ – 0-0 ქულა.

**დანარჩენ ჯგუფებში მე-2 ტურის ორთაბრძოლათა შედეგები:**

**B ჯგუფი.** „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი) – „კრეუზლინგენი“ (შვეიცარია) 26:7, „მონპელიე“ (საფრანგეთი) – „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) 7:11.

**ორი ტურის შემდეგ:** „ოლიმპიაკოსი“ – 6, „დუბროვნიკი“ – 3, „ცრვენა ზვეზდა“–3, „მონპელიე“, „კრეუზლინგენი“ – 0 ქულა.

**C ჯგუფი.** „ვოივოდინა“ (ნოვი სადი) – „ბარსელონეტა“ (ესპანეთი) 4:9, „მარსელი“ (საფრანგეთი) – „ბრეშა“ (იტალია) 9:7.

**ორი ტურის შემდეგ:** „ბარსელონეტა“ – 6, „მარსელი“ – 3, „ბრეშა“ – 3, „სინთეზი“ (ყაზანი), „ვოივოდინა – 0 ქულა.

**D ჯგუფი.** „ორადეა“ (რუმინეთი) – „ბეტონი“ (უნგრეთი) 9:14, „შპანდაუ 04“ (ბერლინი) – „პარტიზანი“ (ბელგრადი) 10:13. ამ ჯგუფში თამაშზე უარი თქვა ბელარუსის „ვიტებსკმა“, რომელმაც თბილისის საკვალიფიკაციო ეტაპზე მე-12 ადგილი დაიკავა.

**ორი ტურის შემდეგ:** „ბეტონი“ – 6, „პარტიზანი“ – 4, „გალათასარაი“ – 1, „ორადეა“, „შპანდაუ 04“ – 0 ქულა.

**მესამე ტურის მატჩები 20 ოქტომბერს გაიმართება. „ოლიმპიკის“ აუზში „ლიგამუსი-თბილისი“ ვოლგოგრადის „სპარტაკს“ დაუპირისპირდება.**

**ლექსო ცინცაძე**

ფარიკაობა

# მედლებიც, ფულადი ჯილდოც



**საქართველოს ახალგაზრდა მოფარიკავეები სომხეთის დედაქალაქიდან ხუთი მედლით დაბრუნდნენ. ისინი 16-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირში ცდიდნენ ძალებს, სადაც ჩვენებურებთან ერთად მასპინძლებმა, კუვეიტელებმა, ირანელებმა და რუსებმა იასპარეზეს.** რაპირაში ყველას თბილისელმა თეონა გოგლიძემ აჯობა, მათ შორის ფინალში სომეხ ასმიკ აგიგიანს – 15:6 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მსგავს წარმატებამდე ერთი ჩხვლეტა დააკლდა ლუკა ღაღანიძეს, რომელმაც გადამწყვეტი პაექრობა სომეხ არტიომ დანელიანთან 14:15 წააგო. სამაგიეროდ, გოგლიძე და ღაღანიძე ტურნირის ყველაზე ტექნიკურ მოფარიკავეებად აღიარეს და სპეციალურ პრიზთან ერთად 300-300 დოლარითაც დააჯილდოვდნენ. რაპირაში მე-3 ადგილი დაიკავა რუსთაველმა მარიამ ცუხიშვილმა.

დაშნაში პაექრობა ჩვენებურთა სრული ტრიუმფით წარიმართა: ოქროს მედლები ქუთაისელმა მარიამ ზაკირჩენკომ და თბილისელმა მიქაელ მიქაელიანმა მოიპოვეს – ფინალში მათ, შესაბამისად, ქრისტინე მიქელაძე (15:12) და არტურ ოვაკიანი (სომხეთი, 15:9) დაამარცხეს.

ახალგაზრდა ქართველი მოფარიკავეები ნოემბერში ბურსას (თურქეთი) საერთაშორისო ტურნირზე დაუპირისპირდებიან თანატოლებს.

**ვანო მეგრელიძე**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

წყალბურთი

# მედლებისთვის ოთხეული იბრძოლებს

**წლეულს 16 წლისა და უმცროსი ასაკის წყალბურთელთა შვიდი გუნდი მონაწილეობს საქართველოს პირველობაში. წინასწარი შეჯიბრებები გაიმართა ორ წრედ, რომლებსაც ოთხი ნახევარფინალისტი უნდა გამოევლინა. „ოლიმპიკის“ აუზში მეორე წრის ბოლო შეხვედრები გაიმართა:** „ქუთაისი“ – „თბილისი“ 2:15, „ივერია 2“ – „ლიგამუსი“ 10:7, „ლიგამუსი“ – „ქუთაისი“ 16:3, „ივერია-2“ – „თბილისი“ 4:5. ამდენად, 36 ქულით (ყველა შეხვედრა მოიგო) პირველ ადგილზე გავიდა „ივერია-1“. შემდეგ მოდიან: „ლიგამუსი“ – 30, „ბათუმი“ – 20, „თბილისი“ – 18, „ივერია-2“ – 13, „ქუთაისი“ – 7, „ტონუსი“ – 0 ქულა.

მომავალ პარასკევს ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან „ივერია“ – „თბილისი“ და „ლიგამუსი“ – „ბათუმი“, შაბათს კი ჩემპიონისა და პრიზიორების ვინაობას შევიტყობთ.

**ლაშა დიდია**



დაბრუნება

# გაკვალული ბილიკით

**თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ლეგენდარული გარემარბი ვლადიმერ გუცაევი ვლადიკავკაზის „ალანიას“ სპორტული დირექტორის ამპლუაში დაუბრუნდა.**

შეგახსენებთ, რომ 1995 წელს, როცა ჩრდილოოსური კლუბი პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად გახდა რუსეთის ჩემპიონი, გუნდის უფროსი სწორედ ჩვენი თანამემამულე იყო, ხოლო 1999-2000 წლებში იქვე მთავარ მწვრთნელად მუშაობდა, თუმცა – წარუმატებლად.

დავძენთ, რომ „ალანიას“ პრეზიდენტი ბატონი ვოვას ძველი მეგობარი ვალერი გაზაევია, მთავარი მწვრთნელი – მისი ვაჟი ვლადიმერი და იქ შოთა გრიგალაშვილი თამაშობს.

**ვიტალი ჯაფარიძე**



ბატუტზე ხტომა

# სინქრონულში უკეთ, ვიდრე ინდივიდუალურში

**22 ქვეყნის ბატუტზე მხტომელები ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას ბულგარეთის დედაქალაქში, სადაც უფროსებისთვის მსოფლიოს თასის ეტაპი გაიმართა, ახალგაზრდებისთვის კი ტრადიციული „სოფიის თასი“ გათამაშდა.** ქართველი სპორტსმენები სწორედ ახალგაზრდებში მონაწილეობდნენ. 15-წლამდელთა შორის მთავარი პრიზი ქრისტინე სორდიამ და ნატალია ჩადუნელმა დაისაკუთრეს. ინდივიდუალურ ხტომებში ჩადუნელი მე-5 ადგილით დაკმაყოფილდა. 18-წლამდელთა მსოფლიოს პირველობის მე-2 პრიზიორმა ნანა გოგაშვილმა და თინათინ ჩადუნელმა სინქრონულ ხტომებში მე-4 ადგილი დაიკავეს და ბრინჯაოს მედალოსნებს მცირედით ჩამორჩნენ, ინდივიდუალურში კი გოგაშვილს ფინალში შესასვლელად 0,1 ქულა არ ეყო – მეცხრე ადგილზე გავიდა.

**გივი გაგუა**



ახალი გამოწვევა

# „ტყუპი“ თურქეთში რჩება

**39 წლის შოთა არველაძე განაგრძობს თურქულ სამწვრთნელო კარიერას. „ქაისერისფორიდან“ წამოსული ქართველი სპეციალისტი 4,5 წლით იქაური ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის „ქასიმფაშას“ თავკაცად დაინიშნა, რომელიც მერვე სეზონს ატარებს უმაღლეს ლიგაში და ამჟამად სატურნირო ცხრილში III ადგილზეა 7 თამაშში მოპოვებული 12 ქულით.**



ბუნებრივია, პროვინციული კლუბის აღზევება შემთხვევით არ მომხდარა და იგი მასში ჩადებულ სოლიდურ ინვესტიციას უკავშირდება, რაც ზამთარში განსახორციელებელ მნიშვნელოვან საკადრო ცვლილებებს გულისხმობს. აქვე გაუწყებთ, რომ ჯერჯერობით ოსმალური გუნდის ღირსებას ლეგიონერთა შემდეგი კვარტეტი იცავს: ანდრეას ისაკსონი (მეკარე, შვედეთი), ფაბიენ ერნსტი (საყრდენი ნახევარმცველი, გერმანია), ტაბარეს ვიუდესი (შემტევი ნახევარმცველი, ურუგვაი) და უჩე კალუ (თავდამსხმელი, ნიგერია).

რაც შეეხება ყოფილ კლუბს, შოთიმ „კაისერისფორში“ ორი წლის განმავლობაში იმუშავა და აღნიშნულ პერიოდში გამართული 84 მატჩიდან მისმა შეგირდებმა 32 მოიგეს, 16 ფრედ დაასრულეს და 36 წააგეს.

**გიორგი შოთაძე**

◎ „სად წაიყვან სადაურსა“...

# იბრაჰიმ ბეი ალ-ქაბირ ალ-მუჰამედ (1735-1815)

**ეგვიპტის მამლუქი გამგებელი (1775-1804, შუალედებით) იყო ყველაზე დიდი ფიგურა ეგვიპტის XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედის ისტორიაში — შეიხ ალბალადი (მამლუქთა ოლიგარქიის უმაღლესი პირი).**

ეს ტყვედ გაყიდული ქართველი, აბრამ სინჯიკაშვილი, სოფელ მარტყოფში დაიბადა. ეგვიპტეს თითქმის 29 წლის განმავლობაში მართავდა. 1785-1787 წლებში აჯანყება მოაწყო ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ და რუსეთს მიმართა დახმარებისთვის, თუმცა ამაოდ. სათავეში ჩაუდგა ეგვიპტელი ხალხის ბრძოლას ნაპოლეონის წინააღმდეგ. 1798 წელს კაიროსთან, პირამიდებთან ბრძოლაში, ფრანგების არმიასთან დამარცხებული სირიაში გადავიდა, მაგრამ წინააღმდეგობა არ შეწყვიტა და მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა ეგვიპტიდან ფრანგების განდევნაში.

1803 წელს კვლავ აღუდგა ოსმალეთს. საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ იბრაჰიმ ბეის ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდა საქართველოსთან, ტყვეობიდან დახსნაში ეხმარებოდა თანამემამულეებს, სამშობლოში დაბრუნებაშიც — მსურველთ. 1778-ში ფულიც გამოგზავნა მარტყოფში ეკლესიის ასაგებად.

იმისი ხელქვეითი მამლუქი დიდებულების უმრავლესობა ქართული წარმოშობისა იყო, არაერთი — სოფელ მარტყოფიდან. მიმოწერა ჰქონდა ერეკლე II-თან, რომ რუსეთს, საქართველოსა და ეგვიპტეს ერთობლივად ემოქმედათ საქართველოდან და ეგვიპტიდან ოსმალთა განსადევნად.

1804 წელს ხანგრძლივი და უთანასწორო ბრძოლაში დასუსტებულმა მამლუქებმა ხელისუფლება დაკარგეს. იბრაჰიმ ბეი, გამარჯვებულთაგან დევნილი, თანამებრძოლებთან ერთად სუდანში გადაიხვეწა და იქვე, დონგოლაში გარდაიცვალა. საფლავი არ შემონახულა, სასახლე ოკუპაციის დროს ფრანგებმა დაუწვეს.

კრებულიდან „100 ქართველი უცხოეთში“



მოამზადა
**თამაზ ებანოიძემ**

◎ ჭარბი წონა

# ჩვენ ყველანი ერთი წონისანი არა ვართ...

**გასახდომად საკუთარი თავი, უწინარესად, ფიზიკურად უნდა დაიტვირთოთ — ან ივარჯიშოთ ან იმუშაოთ. დიეტოლოგებიც კი, რომლებიც, რომ იტყვიან, ლუკმა პურს დიეტების დანიშვნით შოულობენ, გამუდმებით იმეორებენ, რომ ფიზკულტურა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სწორი კვება.**

— არაფერიც!“ — აცხადებენ ბოლო დროს სერიოზული მეცნიერები და ამ თქმას ფაქტებით ამაგრებენ, რითაც კვების შესახებ მეცნიერებისა და ცხოვრების ჯანსაღ წესზე აგებული ბიზნესის ერთ-ერთ მთავარ მითს ამსხვრევენ. თურმე, **თანამედროვე ადამიანები იმის გამო გასუქდნენ, რომ, წინაპრებისგან განსხვავებით, ცოტას მოძრაობენ და ცოტა კალორიებს წვავენ.** ბოლო დროს ესაა სამეცნიერო სამყაროში ერთ-ერთი მთავარი სენსაცია.

დასავლეთის ამ მითის დამსხვრევის პატივი... ნამდვილ ველურებს ერგოთ — ესენი არიან ტანზანიაში მცხოვრები ველურთა ტომის ხაძას მეომრები, რომლებიც თავს მონადირეობითა და შემგროვებლობით ირჩენენ. ისინი დღესაც 10 ათასი წლის წინათ დამკვიდრებული ცხოვრების წესით ცხოვრობენ: საკვებს მშვილდისრით, შუბებით, სათხრელი ჯოხებით შოულობენ და მარტივი ურიკებიც არ გააჩნიათ. თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით, საკვების საშოვნელად ისინი უამრავ ენერგიას უნდა ხარჯავდნენ. GPS-ების მეშვეობით მეცნიერები ტომის მეომართა გადაადგილებას დააკვირდნენ და აღმოჩნდა: **ყოველდღიურად ისინი იმაზე მეტ კალორიას არ წვავენ, რაც დასავლეთის ტიპური წარმომადგენლები.**

გთავაზობთ გავლენიან ჟურნალ LOS-ში („საჯარო სამეცნიერო ბიბლიოთეკაში“) მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული ჭეშმარიტად რევოლუციური მოხსენების ორ ამონარიდს:

**„მოლოდინის მიუხედავად, ზრდასრული ხაძების ორგანიზმის ყოველდღიური ენერგეტიკული ხარჯი ისეთივეა, როგორც დასავლეთელებში (ანუ ამერიკელებსა და ევროპელებში — რედ.). ცხოვრების წესი ენერგიის ხარჯვაზე არანაირ ზეგავლენას არ ახდენს“.**

**„ხაძას ტომის მონადირე-შემგროვებელთა შორის ყოველდღიური ენერგეტიკული ხარჯის გაზომვები უარყოფს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ცხოვრების დასავლური წესი ენერგიის მცირე ოდენობით ხარჯვას იწვევს, ხოლო ენერგიის ხარჯვის დაბალი დონე, თავის მხრივ, განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის სიმსუქნის ძირითადი მიზეზია“.**



უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სამეცნიერო ელიტისთვის ესაა მსოფლიოს მსხვრევის სურათი. მაგრამ მათთვის, ვინც ცხიმს სპორტული ვარჯიშებით წვავს, ეს სიახლე სულაც არ არის. მათ იციან, რომ **თავდაპირველად მოვარჯიშე ხალხი წონაში იკლებს, მაგრამ მალე დგება სტაგნაცია. ფორსირებული დატვირთვა სპორტულ ფორმას უდავოდ აუმჯობესებს, მაგრამ სხეულის ფორმაზე ნაკლებად მოქმედებს.**

რა ხდება, რაშია საქმე? ამ კითხვაზე პასუხი ცოტა ხნის წინათ ნიუჯერსელმა მათემატიკის პროფესორმა დიანა თომასმა გასცა, რომელიც წონის დაკლების მიზნით ვარჯიშების დროს ენერგიის ხარჯზე ექსპერიმენტს ატარებდა. სხვათა შორის, აღნიშნული ექსპერიმენტი ასევე ბევრ რამეს ჰფენს ნათელს ხაძას ტომთან დაკავშირებულ გამოკვლევებში. მანამდე ექიმები, ფიზიკური დატვირთვების ეფექტის შეფასებისას, ენერგიის შენახვის კანონს, რომ იტყვიან, „პირდაპირ“ იყენებდნენ: ორმა ერთნაირი წონის ადამიანმა 500 კილოკალორიის მიღების სტანდარტული დატვირთვა მიიღო და შემდგომ ვარჯიშში ამდენივე ენერგია დაწვა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მთავარი მოვლენები მერე ხდება: **დატვირთვის მიღების შემდეგ, დასვენებისას, ნავარჯიშევი ევროპელის ან ხაძას მონადირის ორგანიზმს, თურმე, ენერგიის მარაგის შენახვის უნარი ჰქონია, რისთვისაც კალორიების წვას ამუხრუჭებს! ამის შედეგად, ისინი დღეღამეში უფრო მეტ ენერგიას კი არ ხარჯავენ, არამედ, შესაძლოა, უფრო ნაკლებსაც კი, ვიდრე ისინი, ვინც მთელი დღე ერთ ადგილს არ შორდება!** აქედან გამომდინარეობს კარდინალური დასკვნა: **მთელი დღის მანძილზე ყველა ადამიანი ენერგიის დაახლოებით ერთსა და იმავე ოდენობას ხარჯავს!**

როგორც ჩანს, სწორედ ამ უძველესმა მექანიზმმა გადაარჩინა კაცობრიობა ქვის ხანაში, როცა ადამიანები არარეგულარულად იკვებებოდნენ.

აქედან გამომდინარე ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: **საკვები ნაკლებად უნდა მივიღოთ, ოღონდ ის ხარისხიანი უნდა იყოს.** გახსოვდეთ: ყოველთვის წაგებული იქნება ის, ვინც სუპერმარკეტებში შეძენილ გადამუშავებულ და რაფინირებულ საკვებს მოიხმარს, რადგან მასში შემავალ ნახშირწყალბადებსა და ლიპიდებს ჩვენი ორგანიზმი უფრო სწრაფად და ადვილად ითვისებს, ამიტომ მათი უმეტესი ნაწილი ადვილად იქცევა კანქვეშა ცხიმად, თქვენ კი, თანდათან სფეროს ემსგავსებით.

**თამარ გოგიაშვილი**

◎ ინფორმაცია

## მალე ობიექტური სასამართლო შედგება და დემეტრაძეს გაათავისუფლებენ

**ამის** შესახებ ყოველდღიურ სპორტულ გაზეთ „ლელოს“ საქართველოს ნაკრებისა და „მილანის„ ყოფილმა მცველმა კახი კალაძემ განუცხადა, რომელიც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრისა და მეორე ვიცე-პრემიერის პოსტზე წარადგინეს.

კალაძის განცხადებით, ყველა ის ადამიანი, რომელიც უკანონოდ არის დაკავებული და დანაშაული არ ჩაუდენია, საკუთარ ოჯახსა და საზოგადოებას დაუბრუნდება.

— ჩვენდა საუბედუროდ, ასეთი ადამიანების რიცხვი საკმაოდ ბევრია და მათ შორის მოხვდა გიორგი დემეტრაძეც, რომელსაც აბსურდული ბრალდება წაუყენეს, — განაცხადა კალაძემ.

საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე 2010 წელს ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით დააკავეს. დემეტრაძე ბრალდებას კატეგორიულად არ ეთანხმებოდა და აცხადებდა, რომ არანაირი შეხება ქურდულ სამყაროსთან არ ჰქონდა.

## კალაძეს მინისტრობა გატუზომ და ნესტამ მიულოცეს

**ყოფილმა** თანაგუნდელებმა იტალიური მილანიდან კახი კალაძეს მინისტრობა მიულოცეს.

— მე უკვე დამირეკეს და მომილოცეს ჯენარო გატუზომ და ალექსანდრო ნესტამ მილანიდან, — უთხრა კალაძემ გამოცემა „იზვესტიას“.

ამასთან, როგორც იტალიური პრესა წერს, კალაძე „მილანის“ პირველი ფეხბურთელი არ არის, ვინც წარმატებული პოლიტიკოსობა შეძლო.

— კალაძისა და შევჩენკოს გარდა, ფეხბურთი პოლიტიკაზე გაცვალეს ცნობილმა იტალიელმა თავდამსხმელმა ჯანი რივერამ და ლიბერიელმა ჯორჯ ვეამაც. ეს უკანასკნელი საკუთარი ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებშიც კი მონაწილეობდა, სადაც ხმათა 40 პროცენტი მიიღო, რივერა კი იტალიის ევროპარლამენტში წარმოადგინეს.

## თბილისის რამდენიმე რაიონს ელექტრომომარაგება შეეზღუდება

**სარემონტო** სამუშაოების გამო თბილისის რამდენიმე რაიონს ხვალ ელექტრომომარაგება შეეზღუდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანია „თელასიდან“ აცნობეს, სარემონტო სამუშაოების გამო 10 ოქტომბერს 10 საათიდან 16 საათამდე ისნის რაიონის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება. შეზღუდვა შეეხება: ვარკეთილი-3 II მიკრორაიონს. ასევე სარემონტო სამუშაოების გამო 10 ოქტომბერს 10 საათიდან 17 საათამდე ელექტროენერგიის მიწოდება შეეზღუდება: ნავთლუღის დასახლების, მესხეთის, მათიაშვილისა და სამგორის ქუჩების მცხოვრებლებს.

10 ოქტომბერს 10 საათიდან 17 საათამდე ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება ნაძალადევის რაიონის ნაწილს. შეზღუდვა შეეხება: ზაქარიას, ლოტკინის, კონდოლის, მესხიშვილის და სართანიას ქუჩების მცხოვრებლებს. ასევე, თემქის III მიკრორაიონის I კვარტლის, გურამიშვილის გამზირის, რომელაშვილის, ქვიშხეთის, იფნევის, კვერნაულის და დვირის ქუჩების მცხოვრებლებს. ასევე, სამგორის რაიონის ნაწილს — ახვლედიანისა და ჭირნახულის ქუჩებს.

10 ოქტომბერს 10-დან 11 საათამდე კრწანისის რაიონის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება. შეზღუდვა შეეხება: ზემო და ქვემო ფონიჭალის, გეოლოგების დასახლების, რუსთავის გზატკეცილის, ჟორდანიას, მარნეულის, ღოღობერიძის, სურგულაძისა და მიმდებარე ქუჩების მცხოვრებლებს.



ასევე 10 ოქტომბერს 11 საათიდან 18 საათამდე ელექტროენერგიის მიწოდება შეეზღუდება: ტაბიძის, ასათიანის, მაჩაბლისა და დადიანის ქუჩების მცხოვრებლებს. 10 საათიდან 16 საათამდე სარემონტო სამუშაოების გამო შეზღუდვა აგრეთვე შეეხება: პურის მოედნის, აბო თბილელისა და აბოვიანის ქუჩების მცხოვრებლებს.

10 ოქტომბერს 10-დან 13 საათამდე საბურთალოს რაიონის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება. შეზღუდვა შეეხება: სოფელ დიღმის, ვაშლიჯვრისა და პეტრიწის ქუჩის მცხოვრებლებს. ხოლო 10 ოქტომბერს 11 საათიდან 14 საათამდე ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება: პეკინის გამზირის, ოჟიოს, გოთუას, დოლიძისა და ჩაილურის ქუჩების მცხოვრებლებს. ასევე 10 ოქტომბერს 10 საათიდან 17 საათამდე ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება: ყაზბეგის გამზირის, მიცკევიჩის, კუტუზოვის და ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩების მცხოვრებლებს. ასევე 10 ოქტომბერს 16 საათიდან 18 საათამდე ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება: ალმასიანის და ბერბუკის ქუჩებს.

სარემონტო სამუშაოების გამო 10 ოქტომბერს 10 საათიდან 17 საათამდე ვაკის რაიონის ნაწილს ელექტრომომარაგება დროებით შეეზღუდება. შეზღუდვა შეეხება: ვაჟა-ფშაველას III კვარტლისა და ნუცუბიძის ქუჩის მცხოვრებლებს.

სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე, მომხმარებლებს ელექტროენერგიის მიწოდება აღუდგება.

ინტერპრესნიუსი

**ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი მათემატიკოსი და კეთილშობილი პიროვნება**

**ავთანდილ ციცქიშვილი**

**ინსტიტუტის მთელი კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

## დაიჯესტი

### ფულის „ტომრები“




**ეკონომიკურად და ფინანსურად გერმანია ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყანა რომაა, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამასთან, უპირობო ლიდერი ბევრ სხვა სფეროშიცაა.**

ახლახან გამოქვეყნებული მონაცემებით, გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი „დოიჩე ბანკის“ აქტივებმა, შარშან 2,16 ტრილიონი ევრო შეადგინეს, რაც წლიურ 14-პროცენტიან მატებას ნიშნავს. ამ მიღწევით „დოიჩე ბანკმა“ ფრანგულ „BNP პარადიზს“ გაუსწრო და ევროპის № 1 ბანკის საპატიო სახელი მოიპოვა. სააგენტო „ბლუმბერგის“ მონაცემებით, სააქტივო ღირებულების მაჩვენებლით „დოიჩე ბანკი“ 30 მილიარდი ევროთი უსწრებს ბრიტანულ HSBC-ისა და ესპანურ „ბანკო სანტანდერს“. შემდეგ ადგილებზე კი ფრანგული „BNP პარადიზი“, შვეიცარიული UBS-ის და შოტლანდიური „როიალ სკოტჩი“ არიან.

### რვათეთრიანი „ბენზინის სამოთხე“

**ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მსოფლიოში ხორბლის მთავარ მწარმოებელ ქვეყნებში მოსალოდნელ გვალვასთან დაკავშირებით საერთაშორისო ბაზარზე ამ მარცვლეულის 18-პროცენტიან გაძვირებას ჩვენში პურისა და პურპროდუქტების გაძვირება მოჰყვება.**

მაგრამ ამ ინფორმაციას უმალ მოჰყვა საქართველოს პურის მწარმოებელთა ასოციაციის განცხადება იმის თაობაზე, რომ პურის ფასში თავად ხორბლის ფქვილის ფასის წილი 60 პროცენტს არ აღემატება, დანარჩენი საწვავზე, გადასახადებზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე და ა.შ. მოდის.

საწვავი საქართველოში რომ კატასტროფულად ძვირია, რაც ჩვენ ისედაც მძიმე ყოფაზე მეტად ნეგატიურად აისახება, კარგადაა ცნობილი, ამიტომ ძნელი დასაჯერებელია, რომ მსოფლიოში არის ქვეყნები, სადაც მისი ფასი კაპიკებია, როგორც ეს, მაგალითად ვენესუელაშია. არადა ფაქტია, რომ იქ ლიტრი ბენზინი 5 ამერიკული ცენტი, ანუ რვა თეთრი ღირს. ბენზინის სიიაფის მხრივ მეორე ადგილზეა ლიბია, სადაც ლიტრი ბენზინი 14 ცენტი ღირს,



მესამეზეა თურქმენეთი (19 ცენტი). შემდეგ ამ ქვეყნებს მოჰყვებიან ბაჰრეინი (21 ცენტი), კუვეიტი (22 ცენტი), ყატარი (24 ცენტი), საუდის არაბეთი და ეგვიპტე (30-30 ცენტი).

### მკერდის გადიდება თუ გსურთ...

**ფლორიდელმა ჰიპნოთერაპევტმა მაიკლ სტივერსმა ქალის მკერდის გადიდების რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარა, რომელშიც 19 ქალბატონმა მიიღო მონაწილეობა.**

**პირველი ექვსი კვირის მანძილზე მოხალისეებს უხსნიდნენ, თუ როგორ უნდა წარმოედგინათ, რომ მკერდზე თბილი ნამიანი პირსახოცი აქვთ მოხვეული, როგორ უთბობს მკერდს ელექტრონათურა, რომელიც მოცულობის ზრდას ასტიმულირებს.**

მას შემდეგ, რაც ქალები ბუნებაში სარძევე ჯირკვლების „გათბობას“ ახერხებდნენ, ექიმი მათ გულისცემაზე კონცენტრირებას, კერძოდ, მის აჩქარებას სთხოვდა, რათა მკერდის მოცულობის ზრდის უჯრედებისთვის სისხლის მიწოდების მატება მომხდარიყო. ამ ვარჯიშებს ქალბატონები სახლშიც განაგრძობდნენ.



— ვიზუალიზაციის ეფექტის გასაძლიერებლად, ასევე მოსადუნებლად და ჰიპნოტურ ტრანსში შესასვლელად ქალები სხვადასხვა ვარჯიშებსაც აკეთებდნენ, — ამბობს დოქტორი სტივერსი. — კერძოდ, ლოტოსის პოზაში გახშირებული სუნთქვის ვარჯიშს ასრულებდნენ.

მეთორმეტე კვირის მიწურულისთვის 14 გამოსაცდელმა ქალმა უფრო დიდი ზომის აზღუდი შეიძინა, დანარჩენ ხუთს კი უბრალოდ მიზანდასახულობა და რწმენა არ ეყო. მიზანსწრაფულმა მოხალისეებმა კი საშუალოდ მკერდი 5-დან 10 სანტიმეტრამდე გაიზარდეს!

— ჩატარებული ექსპერიმენტით დადასტურდა, რომ ჰიპნოზის და წარმოსახვის მეშვეობით ადამიანის გარკვეულ ორგანოზე ზემოქმედება სავსებით შესაძლებელია, — ეს კომენტარი ქცევითი მანერებისა და ფსიქიატრიის ინსტიტუტის მედიცინის დოქტორ რიჩარდ უილარდს ეკუთვნის.

### „სისხლიანი“ აღმოჩენა



**მეცნიერებმა დაადგინეს: ბუნებაში სისხლის ექვსი ჯგუფი არსებობს. ამერიკის ვერმონტის უნივერსიტეტის სწავლულები აცხადებენ: უკვე ცნობილი I, II, III და IV ჯგუფების გარდა აღმოჩენილია კიდევ ორი — ლანგერაისისა და ჯუნიორის ჯგუფები.** მიუხედავად ამისა, ჰემატოლოგები ამბობენ, რომ ძირითადი მაინც „ძველი“ ოთხი ჯგუფი რჩება, თუმცა კი მათ შიგნით არის კიდევ მრავალი ქვეჯგუფი, რომელთა დადგენა პაციენტის სურვილის შემთხვევაში სირთულეს არ წარმოადგენს. მაგრამ არსებითი მნიშვნელობა მათ არა აქვთ, რადგან სისხლის გადასხმის შემთხვევაში ისინი პაციენტის ჯანმრთელობას რაიმე არსებით ზიანს არ აყენებენ.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



**„ჯერ კიდევ ჩვენი მთავრობა მუშაობს“**

— აცხადებს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია, — არანაირი შერეული უფლებამოსილება, არანაირი შერეული პასუხისმგებლობა და არანაირი შერეული ხელმძღვანელობა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ეს არის ერთი მთავრობის მიერ ახალი მთავრობის მიმართ ურთიერთობის ცივილიზებული ფორმა. მოქმედი მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რომ ხელისუფლების გადაბარების პროცესი, რომელიც კონსტიტუციურ ჩარჩოებში დაიწყო, ასევე კონსტიტუციის შესაბამისად დასრულდეს.

**„ახალი თაობა“**

**ცხინვალს ივანიშვილის დაპირებების ჯერ არ სჯერა!**

— სააკაშვილი რომ მოვიდა, ზუსტად იმას დეკლარირებდა, რასაც საქართველოს ხელისუფლებაში დღეს მოსული ახალი ძალა, — ამბობს ოსი უფლებადამცველი ლირა კაზაევა.

როგორც ცნობილია, საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში გამოჩენისთანავე აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთიცა და აფხაზეთიც კონფლიქტის მხარეებად უნდა ცნოს. რამდენად მისაღები იქნება ეს ოსური თუ აფხაზური მხარისთვის, დრო გვიჩვენებს.

**„რეზონანსი “**

**მიშა სააკაშვილმა უფროსი ვაჟი სასტიკად სცემა?!**

სანდო წყაროს ცნობით, რამდენიმე დღის წინ მიშა სააკაშვილმა საკუთარი უფროსი შვილი ედუარდ სააკაშვილი ისე სცემა, რომ საწყალი ბავშვი სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაუშვიათ. მიზეზს არ იკითხავთ? ედუარდს მამისთვის უთქვამს, — ამდენი ხალხი ითხოვს შენს გადადგომას და კარგი იქნება თუ მართლა გადადგებიო, — ვის უბედავ შე ლაწირაკოო? — გადარეულა ისედაც კაი ხნის წინ გადარეული ბატონი პრეზიდენტი და საკუთარი შვილი გაულახავს.

**„ალია“**

**იყიდება ბინა სასწრაფოდ!**

**ქალაქის ცენტრში, ოპერის უკან,** თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება 4-ოთახიანი, 100 კვ.მ. მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. დარეკეთ საღამოს — 247-57-79.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

— მარო, აბა დაფაზე დაწერე წინადადება, რომელშიც იქნება სიტყვები „ქალიშვილი“ და „ტყე“.
მარომ დაფაზე დაწერა: „ქალიშვილი ტყიდან გამოვიდა“.
— კარგია, მარო, დაჯექი. აბა, მიხო გამოდი და აქედან გააკეთე უარყოფითი წინადადება.
მიხომ დაწერა: „არაქალიშვილი გამოვიდა ტყიდან“.
— მიხო, ეს შეცდომაა! უნდა გამოასწორო!
— ამას უკვე არაფერი ეშველება, მასწ, მორჩენილი საქმეა!

* * *

ტიპი სოლარიუმში მივიდა:
— თუ შეიძლება, 200 წუთით ჩამსვით კაბინაში.
— რას ამბობთ, ბატონო, 15 წუთზე მეტი არ შეიძლება, დაიწვებით!



— არ ვეძებ, ხვალ ანტალიიდან უნდა ჩამოვიდე და... ცოლს წარვუდგე!

* * *

— შენ მე მიღალატე! — უყვირის ქმარი ცოლს.
— აბა, რა მექნა, მიმატოვე, და...
— მიგატოვე კი არა, სულ რაღაც ათი წუთით გავედი ტუალეტში!

* * *

წვეულებაზე საკმაოდ შეზარხოშებული ქალი კარგად შემთვრალ მამაკაცს ეკეკლუცება:
— თქვენი აზრით, რამდენი წლის ვიქნები?
— თუ თქვენი კანით ვიმსჯელებთ, თვრამეტისა. თქვენი თმები კი მაფიქრებინებს, რომ ჩვიდმეტისა ხართ, ხოლო თვალები ოცი წლის ქალიშვილისა გაქვთ.
— ღმერთო ჩემო, როგორი გალანტური ხართ!
— ცოტაც მაცალეთ, ჯერ ამ ციფრებს შევკრებ...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24